



საქართველო ნახატებიანი

ჟურნალი

№ II

თებერვალი

1909

## მინარესი

### უკინებდა . გეგმისა

I	სურათი, საღილობაა, საღილობაა . . . . .	2
II	საღილობაა! (ფრანგულით) ტასთან . . . . .	3
III	ილომ გაიშარჯვა (რუსულით) . . . . .	5
IV	ვანოს მურია, ამბავი ივ. გამართელის . . . . .	6
V	ცოცხალი სათამაშო, ალ. ფ.—სი . . . . .	12
VI	დედა-იხვის გაჭირვება, სეტონ-ტომპსონისა, თარგმანი ელ. მაშულაშვილი-გასძისა . . . . .	17
VII	პატარა ვიოლეტა (სურათით) . . . . .	28
<hr/>		
VIII	მდინარე, ლექსი ღადა გეგმებითისა . . . . .	33
IX	ქარიშხალი, მოთხრობა ა. სერაფიმოვიჩისა, (თარ- გმანი) შთახასი . . . . .	34
X	მიწის ძერა სიცილიაში (4 სურათი) . . . . .	45
XI	ნისლი (გერმანულიდან) თამრთ ნაცვლიშვილის . . . .	53
XII	„კიბუნ-დეიზინ“ მოთხრობა ჯენზეი მურაისა (გაგ- რდელება) ალ. ნათაძესი . . . . .	54
XIII	კოკოსის პალმა, (ლვოვის წიგნიდან) ალ. ჭიჭინაძესი	61

---


საქმაწყილო ნახატებიანი ჟურნალი

## ჭიჭინა

დაარსებულია 1890 წელს

გამოვდ თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განუო-  
ფილებაა პატარებისთვის და მოზრდილთათვის ფასი  
წლიური: ქალაქ გარეთ 5. მ. ქალაქში 4 მ. ცალკე  
ნომერი 40.

აღრესი: არტილერიის ქუჩა № 5.



№ II

თებერვალი, 1909

ველიადი გვოცე



ବୁଦ୍ଧିଲୋକଙ୍କ, ବୁଦ୍ଧିଲୋକ!

# სადილობა!

(ფრანგულიდამ).



იღის შიან, ლილის უჟაზოს  
ჭამა!

ლილიმ შეამჩნია, რომ  
მამის ოთახში დიდი, დიდი  
საათია. მამა შესედავს ამ  
საათს, დაისურავს ქუდს,

კოჯებს ლილის და იტევის:

— დოოა წავიდე სამსახურში.

ზოჯერაც მამა რომ შესედავს ამ დიდ საათს—  
იტევის: საუზმის დოოა!

დედამც იცის ხოლმე, შესედავს საათს და იტევის:  
ოთვი, ჩემო ლილი, ჩაგაცვა, დოოა სასეირნოთ წა-  
ვიუქანო!

სადამოობითაც, ლილის მიღის დოოა, მამა შე-  
დედავს საათს და იტევის: დოოა... დააძინეთ ლილი.

— ნეტავი, როგორ ელაპარაკება საათი უველას,



უსთუოდ ის ოქროს ჩიტი თუ ლაპარაკობს, საათის ქვემოთ რომ ჭის.

ლილის უნდა საათი ახლო ნახოს, ის ადის სკამზე და შესცეკრის საათს.

ამას მართლია გაუგონია ჩიტის სრინწიანი, სამაგელი სმა, მაგრამ ჩიტი კი ჰირს არას დოლი არ აღებდა.

შესცეკრის ლილი საათს. სედავს საათის ისრები როგორ ნელა-ნელა ტრიალებენ, მაგრამ ვერა გაუკია... ამას კი ძიან, ძიან... ლილიმ სელი შეასო საათს. უცებ საათმა დარეჯა: დინ... დინ... დინ...

ლილიმ დაივირა: სადილობაა, სადილობაა...


ლილის უვირილზე დედა შემოვიდა სელში სადილისთვის მოშავდებული ქადით და სისარულით შეჭებირა:

— ლილის საათის შეტყობია სცოდნია!

ლილიმ კი არაფერი იცოდა, იმას მხოლოდ შორდა და უვიროდა:

— სადილობაა, სადილობაა, სადილობაა!..

ტახო.



## ილომ გაიმარჯვა.

**ს**ოფლის ბოლოს ერთი ღარიბი ქოხი იდგა. ერთხელ ამ ქოხის მცხოვრებნი უველანი ტექში ჟეზა წავიდენ; ქოხში დარჩა მხოლოთ ათი წლის ბიჟი ილო და აკვნით ერთი წლის ბავში; ილო აკვანს არწევდა და ნანას ეუბნებოდა თავის პატარა დაიას.




უცბით კარი გაიღო, ქოხში შემოვარდა მცელი და პირდაპირ აკვანს ეცა ბავშის მოსატაცებლათ.

ილო ერთ წამს მცელს მივარა და და გაღებულ პირში თავისი დიდი მუშტი ჩაიდო. მცელი ცდილობდა თავი დაეხტა, სული მოებრუნებინა, მაგრამ უმაწვილი უფრო და უფრო ღრმათ სხრიდა მუშტს პირში, უელში... მერე კედელს მიახალა და არ მოეძვა, სანამ მცელი არ დაიხრჩო.

---



## კანოს მურია.



აუცხოვო მაღლი იქო მურია: მსხვილი, გრძელი ბალნიანი, კუდ აგრესილი. ის ნაგაზი იქო, მაგრამ მონდენილობით ბევრ მწევარსა ჯოდა. მისი ერთგულება ოჯახისადმი უსამზღვრო იქო. მისი ჰატრონის ეზოში სხვისი მაღლი ან ღორი კერ გაიჭირნებდა. კეფნებით ეცემოდა მურია, ამოიდებდა ქვეშ და სულ ვაი დედას აძახებდა. ადამიანებს ამდენათ არ ემტერებოდა, თუმცა უცხო ჰირებს, ოომლებსაც არ იცნობდა, მალიან შეუტევდა სოლმე.



კბენით კი არ უკბენდა, თუ გულს არ მოაუქმნინებდენ, ან ჯოხს არ დაარტყამდენ. ბავშვებს მურია ხმას არა სცემდა. შინაურები და თავისი ჰატრონი მურიას განსაკუთრებით უუფარდა, მავრამ ვანო მას უველას ერჩია. ვანოს ოომ დაინახავდა, ფეხქვეშ გაუგორდებოდა, სიამოვნებით ენას გადმოაგდებდა და თხნ კუდის ქიცინს, თან ლორნას დაიწეპდა; შემდეგ წამოხუებოდა ზეზე, ერთი მსიარულათ შესედავდა ვანოს და გაიქცეოდა. ვანოც უკან დაედევნებოდა და ასე თამაშობდენ დიდხანს ორივე მეგობრები. ოცა დაიღალებოდენ, ვანო შეაჯდებოდა ზურგზე მურიას და წუნარათ დასეირნობდენ ეზოში. დრო მიდიოდა. ვანო იზრდებოდა, მურია კი თან და თან ბერდებოდა, თვალები ჩაუცვინდა, სივრციზლე და სიხალისე დაჭკარება; ძველებური სიმარდე აღარ ეტეობოდა; კუდი ჩამოუგარდა და თავ-ჩაქინდორული დადიოდა ხოლმე ეზოში, თითქოს სიარული ეზბრებათ. უფრო ხშირათ იწვა. სხვის ძაღლსა და ღორის ოომ დაინახავდა ეზოში, ვედარ შეუტევდა ხოლმე და მარტო ადგილიდან უღრენდა. ერთხელ ეზოში სხვისი ნაგაზი შემოვიდა, მურიამ გაიხსენა თავისი სიემაწვილე და დაედევნა უკან. ნაგაზი გადახტა ღობეზე და გზაზე გაჩერდა. მურიაც გადაჭევა თან და ეცა, მავრამ ღონებ უმტკუნა. უცხო ნაგაზმა ამოიდვა ქვეშ და, ვანოს ოომ არ მოესწრო, მურიას ტეავს შამღასევდა.

ამის შემდეგ მურიამ შეიგნო, ოომ ძველებური



მაღ-დონე მას აღარ მოსდევდა და ამიტომ შევლეუ-  
რათ შეტევას თავი დაანება. პირველ სანებში იმის  
ლრენასაც გასაჟალი ჰქონდა, მაგრამ შემდეგ და შემ-  
დეგ მაღლები და ღორებიც მისვდენ, მურია ჲაშიში  
აღარ არისო და აღარ ესუებოდენ, არხეინათ დასე-  
ირნობდენ ეზოში. ღორები იმდენათ გათამაშდენ, რომ  
ეზოს ჩიხენაც კი დაიწევეს. მურია რამდენჯერმე წა-  
მოიღორინავდა სოლმე და შემდეგ ისიც გახუმდებოდა.

მურიას პატრონმა, როსტომმა, გადაწევიტა მუ-  
რიას დაღრჩობა, რადგანაც აღარაფრათ აღარ ვარ-  
გოდა და სიკვდილით კი არა კვდებოდა, მაგრამ ამას  
რომ ვანომ მოკრა ეური, იმისმა ღრიალმა იქაურო-  
ბა წაიღო. როსტომი არ მიაქცევდა კიდევ ვანოს  
ღრიალს ეურადდებას, მაგრამ ვანოს დედმ, მარინებ  
არა ჸქნა: მართალია, მურია მხოლოთ აქაურობას  
აეროლებს და ჩვენ აღარას გვარგია, მაგრამ რაღაი  
ვანოს ასე უკვარს, იუოს,—დიდი სის სიცოცხლე  
მაინც აღარ დარჩენიათ.

დრო გადიოდა, მურია კი არა ჸევდებოდა; იძ-  
დენათ მოსუცდა და მოუმლურდა, რომ პურიაც კი  
ვეღარა ჸდესავდა.

— მარინე, მაღლის საცოდაობამ დამტანჯა, —  
ეუბნებოდა კრთ დღეს როსტომი მარინეს, — პურიაც  
ვეღარა ჸდესავს და რა მაღლია მაგისი სიცოცხლე!  
დილას რომ პური მიუტანა ვანომ, ახლაც წინ  
უდევს.

— მადლი არ არის, მაგრამ ვანო თავს მოა-  
კლავს და რა ვქნათ, — უპასუსა მარინებ.

— იქნება ორ წელიწადსაც იცოცხლას კიდევ  
და მაგის საცოდაობას ვინ გაუძლებს? აკი გეუბნები,  
ჟურის ჭამაც კი ადარ შეუძლია, — ერთ ლუკმას რომ  
გადაჭელაბზეს, ერთი საათი უნდა დაისვენოს, — არა  
სწრებოდა როსტომი.

— მე სომ წინააღმდეგი არა ვარ, ადამიანო!  
მაღლი რომ აგრე დაბერდება, უნდა დააღრჩო, აბა,  
რისი მაქნისია? მაგრამ ვანო ერთ ამბავს დაგვიწევს,  
წარმოსთქვა მარინებ.

— იცი, მარინე, ვანო სომ ახლა აქ არ არის.  
დაუძახოთ ბიჭის, გავატანოთ მურია და აი იმ ღელეში  
სამოახრჩოს. ვანოს კიდევ ვუთხრათ, მურია დაიკარგა-  
ოთ, — სთქვა როსტომმა ცოტა სნის სიჩუმის შემდეგ.

— დაგიჯერებს მერე? — მიუგო მარინებ.

— რატომაც არ დაიჯერებს! ცოტას იტირებს  
და განუძღვია. უბეთეს მაღლის უმოვნი და მურია  
მოლათ გადაავიწევდება. სწორეთ კარგი აზრი მომი-  
კიდა, — წარმოსთქვა როსტომმა, გადგა კარებში და  
დაუძხსა მოსამსახურეს.

— იცი, ანდრია, — მიმართა როსტომმა მოსამსა-  
ხურეს, როცა ის ოთახში შემოვიდა: — ახლავე წაი-  
ჭანე მურია, აი გადაღმა ღელეში, წაიღე თოკი და  
ხეხე ჩამოაღრჩვე. მაგრამ იცოდე, ვანოსთან არაფერი  
წამოვცდეს.



— შე დალოცვილო, აქამდინაც შიკვირრებულის  
არ აღრჩობდით. მაღლი რომ ასე დაბერდება, უნდა  
მოკლა, აბა რა მოხელეა? — წაილაპარაკა ანდრიამ და  
გავიდა გარეთ.

ანდრიამ მოხსნა ურემზე თოკი, აიღო ჟურის  
ნაცენი, დაუმახა მურიას და გასწია ლელისაკენ. იქ  
ამოირჩია ერთი მუხა, რომელსაც ბანზე ჰქონდა გა-  
შვერილი მსხვილი ტოტი, შეკმცა ორათ თოკი, ცა-  
ლი თავი ტოტზე გადისროლა და შამოახვია მურიას  
კისერზე. მურია წენარათ იდგა, რადგანაც ანდრიას  
ის ქარგათ იცნობდა. ის არა ერთხელ ეოფილა ან-  
დრიასთან ერთათ მთამი შემის მოსაწანათ. მურიას  
გაახსენდა ეს დრო და ეგონა, ახლაც მთამი აპირებს  
ანდრია წასვლასო. ანდრიამ კი მაგრათ დაჭიდა თოკი  
და მურია ჰაერში ჩამოეკიდა, თვალებში დაუბნელდა...

ვანო სახლში არ იქო, სათამაშოთ იქო წასული.  
როდესაც დაქანცული ვანო სახლში დაბრუნდა, მა-  
ნირველათ ჟურსა და უველს წასვლო სელი და მა-  
დიანათ შემძლეოდა. მას გაახსენდა თავისი მურია,  
იფიქრა, ალბათ იმასაც შიაო და გაემურა მირს მუ-  
რიას ჩვეულებრივ ბინისაკენ, მაგრამ მურია იქ არ  
დაუხვდა. ვანოს ცოტა ეუცხოვა, რადგანაც მურია  
თავის ბინას ძვირათ სცილდებოდა ხოლმე და დაუ-  
წეო მებნა, მაგრამ მურია ვერსად ნახა.

— დედა, ხად არის მურია? — დაეკითხა ვანო მა-  
რინეს, რომელიც ამ დროს გარეთ გამოვიდა.

— ოა ვიცი, შვილო, ტეისაკენ მიდიოდა და  
ადამ დაბრუნებულა, — მიუგო მარინებ.

ვანო მიხვდა, ოომ მურია თავისი ნებით ტეისა-  
კენ არ წავიდოდა, გულმა უგრძნო, ოომ მურიას  
თავს კარგი არა იუორა და ვაიქცა ღელისაკენ.

— მურია, მურია, ჩემო მურია! — ღრიალებდა ვა-  
ნო და მირბოდა.

ვანომ სწორეთ იმ დროს მოჰკრა თვალი თავის  
მურიას, ოოდესაც ანდრიაძ თოვს დაზიდა და მურია  
სის ტოტზე ჩამოეკიდა. ვანომ მიირბინა ანდრიასთან  
და ისე ღონივრათ უკბინა სელზე, ოომ ანდრიაძ სი-  
მწარით თოვს სელი გაუშვა და მურია მირს ჩამო-  
ვარდა. სანამ ანდრია სისხლს იწმენდდა სელზე, ვა-  
ნომ მოხსნა მურიას კისერზე თოვი და დაუწეულ შუ-  
ბლზე კოცნა. მურიას თვალები დახუჭული ჰქონდა  
და ღრმათ სუნთქავდა, — ის გაბრუებული იყო.

— მურია, მურია, ჩემო მურია! — ეალერსებოდდა  
ვანო მურიას და თან სელს უსვამდა თავზე. მეგო-  
რის სმამ მურია გონს მოიუვანა, თვალები გაახილა,  
მეხედა ვანოს და სელების ლოკვა დაუწეულ. ვანო  
დიდ ბედნიერებასა გრძნობდა ამ ღროს; ამას ვე  
გრძნობდა ალბათ მისი მურიაც.

## ცოცხალი სათამაშო.



დღეს სერგოს დაბიდების დღეა. ბეჭ-  
რი სათამაშოები აჩუქეს სერგოს: ქატა,  
მაღლი, გირი... ეს ვირი, პატარა ურეში  
შებმული, ისეთი დიდი იუო, თითქოს  
ნაძვილი. ამ ურეში ჩაეტეოდენ სერგო  
და მისი პატარა მმა ტიტო. ბაწარს რო  
მოსწევდენ, გირი უურებს აათამაშებდა.  
სერგო პერანგის ამარა შეხტა ურეში  
მათრახს ურტყავდა ვირს, უვიროდა...

პატარა ტიტომ ლოგინიდნ გამოი-  
ხედა და ტაში დაუკრა. დღეს სახლში ვინც  
კი იუო, უველამ აჩუქა სერგოს საჩუქა-  
რი. გადიას მხოლოდ არაფერი არ მოუტანდა. ვუძინ  
საღამოთი კი მალავდა რაღაცას ბებიას ოთახში, და  
დიდხანს ბებიას ეწურებულებოდა. სერგო ნატრულობ-  
და მალე ენახა გადიას საჩუქარი.

— გადია! — დაიუვირა სერგომ, მაგრამ მოაგონდა  
რომ ჯერ ადრეა და უველას სძინავთ და გაჩუმდა.

გადიამ დაიხურა თავისი სადღესასწაულო თავ-  
სახვევი და გაეშურა თავისი საუცარელი ბიჭუნიას  
ხანახაგათ. გაუწვდინა რაღაც ქადალდში გახვეული.

ცოცხალი სათამაშო.

— მოგილოცავ, ჩემო ბიჭუნია, გაიზარდე დიდი,  
დიდი!

გადია მაგრად გადაეხვია. ქაღალდის ქვეშ ოაღაც  
მომრაობს და წრიპინებს. სერგომ მოხსნა ქაღალდი.

— ჩიტი, ცოცხალი ჩიტი!

სერგო სიხარულისაგან უვირის და ხელებს აჩარ-  
ტევენებს.

— ეს პატარა ჭივჭივია, სერგო. მოუარე, უველ  
დე წმინდა წეალი დაუდგი, გალა სუფთად შეუხა-  
სე. აი მაგისი საჭმელიც, ოღონდ უთავბოლოდ ნუ  
აჭმევ, ჯერ უნდა დაუხაერ ცოტათი. მაგრე რო მის-  
ცე თესლი ენას ატკენს.

გალია დაკიდეს ფანჯარასთან, წეალი დაუდგეს,  
სერგო თვალს არ აშორებდა გადიას საჩუქრის. აი  
ჩიტუნია ნისკარტს იწმენდავს, აი წეალსა სვამს, აი  
საკენკს კენკავს, აი წეალში ჩაიგურეუმელავა.

— შეხე, იყბინება, — ამბობს გადია. ჩიტუნია ზის  
და ისტორებს ფრთებს.

— ჭიგჭიკ! — დასცინის ტიტო, ოომელიც იქვე  
ტრიალებს. ოთახში შემოვტიდა დეიდა, სერგო მიგარ-  
და მხიარული სახით:

— დეიდა, იცი, ცოცხალი ჩიტუნია გვევავს.

— საბორალო გადია შენ შეგძლია. ეს ჭივჭივი  
კი არა, კიოტაა \*).

— უი, თვალებო, ოოგორ ვერ გავარჩიე, დახე ერთი!

\* ) Малиновка.

— ეს ჩიტი გალიაში კერ გასძლებს. მაგას უმჟეოთ, ქარგ ჭავრის მოკლებული ცხოვრება არ შეუძლია

— აյ სოდ ქარგი ჭავრია, ჩვენ ოთახში, დეიდა, ხოქება სერგომ.

— ეს არა კმარა შენი ჩიტისათვის!

— შეტემი გადიას, ფანჯარა ხშირად გააღიას,— ტირილის ხმით უთხრა სერგომ.

— მაინც არ იქმარებს, ჩემო კარგო. მაგისთვის მაინც ჭავრი ცოტა იქნება. მაგას უნდა თავისუფლება, მინდორი, ტუმ, ჰვავილები, ბალახი, ჭია-ღუები.

— მაშ, რა ვქნა?

— ღმერთო ჩემო,—ოხვრით ამბობდა გადია, — ეს რა ჩავიდინე, ეგებ ერთი თვე მაინც იცოცხლოს, ბავში ითამაშებს და მერმე რა უუოთ თუ მოკვდება.

— მე არ მინდა რომ მოკვდეს ჩიტუნია, — უკოროდა სერგო გაწითლებული.

— მაშ, თუ არ გინდა, მოდი გაუშვათ, — წენარად უთხრა დეიდამ.

სერგო იდგა გაჩუმებული და დაბლკერილი უურებდა გადიას.

— გაიხედე ბაღში რა მშვენიერებაა, — წენარად უთხრა დეიდამ, — რა ლამაზათ ამწვანებულა სეები და რა საამურად ჭიკჭიკებენ ჩიტები. მათაც ესიამოვნებათ თავისუფლათ თამაში. შენ სოდ არ გიუვარს ერთ



დეილზე ჯდომა? გინდა დაგამწევდიონ ბნელ თახს-  
ში, რომ ვერასოდეს ვერ გამოხვიდე იქიდან?

სერგომ თავი გააქნია.

— გაუშვი ჩიტი!

სერგო გაჩუმებული იდგა.

დეიდა კარებისაკენ გაბრუნდა.

— დეიდა, ჩიტი უშველად მოკვდება?

დეიდა შეჩერდა.

— უშველად, სერგო!

სერგოს ტუჩები აუკანკალდა, მან დაიწეო ტი-  
რილი და გადიას ჩაუდო კალთაში თავი. დეიდამ  
უთხრა:

— ნუ ტირი, სერგო, თუ გინდა ნუ გაუშვებ,  
განა შენი ნება არ არის!

დეიდა ისევ გაბრუნდა კარებისაკენ.

— დეიდა,— სასოწარკვეთილებით დაიუფირდ სერ-  
გომ,— წაიუვანე, წაიუვანე!

— თვითონ გაუშვი, სერგო, შენ ნახავ, ჩიტუნია  
რა მხიარულად გაფრინდება, რა სიხარულით მიიმა-  
ლება მზის შუქი. მოდი გავადოთ ფანჯარა.

გააღეს თუ არა ფანჯარა, შემოაშუქა მზის სხი-  
ვებია, შემოვიდა ბალასის სუნი, ჩიტების ჭიკვიკი.  
დეიდამ სელი გალიისაკენ წაიღო.

— გავადო, სერგო?

სერგომ თავი დაუქნია თანხმობის ნიმნად.

— მაშ, შენ თითონ გააღე!

სერგომ აკანკალებული ხელით გააღო გალიის ქარი, ჩიტი გამოფრინდა, მიტრიალ-მოტრიალდა გა-  
ღებულ ფანჯარასთან, დაიჭირდა, გაფრინდა ბაღისა-  
კენ. მაღლა-მაღლა მიდიოდა ჰესერში. ბოლოს მიი-  
მაღა ტუეში. სერგოს თვალებზე ცრემლები უბრწყი-  
ნავდენ.

— ჭივ, ჭივ,— იძახოდა მსიარულად პატარა ტიტო.  
დეიდამ მაგრად აკოცა სერგოს.

— ასე, ჩემო კეთილო ბიჭუნია, ახლა წავიდეთ,  
ვითამაშოთ. უჰ, ობ კარგი ურემდი გქონია!

დეიდამ ხელში აიუვანა ტიტო და გირისაკენ  
წაიევანა.

ერთი წუთის განმავლობაში სერგო იჯდა ტი-  
ტოსთან ერთად ურემდი, მსიარული მაგრამ ჯერ კი-  
დევ ნამტირალევი სახით, დეიდა ვირს ბარით მი-  
ათოვდა, ვირი კი უურებს ანმრევდა.

ფანჯარაზე კი ცარიელი გალია იდგა. მხე მსია-  
რულად იჭვრიტებოდა. ჩიტები ჭიკჭიკობდენ, თით-  
ქოს მაღლობას უძღვნიდენ სერგოს მათი პატარა მე-  
გობრის განთავისუფლებისათვის.

ალ. ფ.





# დედა-იხვის გაჭირვება.

(სერია-ტრადიცია)

I



ერთ ბალასიან გუბეში, ორ  
მელიც მთის რაიღინგის მზიან  
მხარეში მდებარეობდა, მწვანე  
ფრთიან გარეულმა იხვმა აი-  
ხინა ბინა.

მგზავრები, ოოგორც კი გა-  
ივლიდენ სოლმე თავიანთ ჭრი-  
ჭინა ჰოვოზგებით, სედავდენ  
მსოლოთ გუბეს, ოომელშიაც ისლი იქო ამართული  
და ამათ დიდი სხის ალვის ხე და ჭრებიდა. სევიდამ.  
ჟაგრამ ჰატარა იხვებისთვის ლერწმებში ერთხელ და  
ან მათი მეზობელი ბუზი-ჭრიებისთვის მახლობელ  
ალვის ხეზე ჯდომა—სწორეთ სამოთხე იქო და ესენი  
ჟევდარებელ სიტკბოებას გრძნობდენ.

მწვანე ფრთიან იხვმა თავისი მეუღლე ზაფხუ-  
ლის დაძღევს დაჭვირვა. უფრო სინამდვილე იქნება,  
ოთვ უთქვათ — ის სადღაც გაჭქრა და რაღცანაც ამ  
მხარეში იმათ ბევრი მტერი ჭებვდათ, უსათუოდ სად-  
მე დაიღუპებოდა. ამის მიუხედავათ დედა-იხვი დიდი

სიუფარულით ზოგებავდა თავის ბუდეზე და შვილების გამოჩეკაზე.

თიბათვის გასვლამდის ის გულმოდგინეთ იჯდა კვერცხებზე, მხოლოთ ღღები ერთხელ წამოდგებოდა რამდენიმე წამით, რომ საჭმელი ეჭამა, მაშინაც თავის ძვირფას კვერცხებს ფრთხილათ დაბუარებდა პატარა ბალიშს, რომელიც ჰქონდა თავის გულის ბუბლიდან გამოგლევილი.

ერთხელ დილით, ის იეო, კვერცხებიდან წამოდა გომას აპირებდა, რომ მას მოესმა რაღაც ბუჭხარა, ჩახუნი მახლობელ ბაბილოში, მაგრამ მაინც გზას გაუდგა. როდესაც დაბრუნდა, მისი მეზობელი ბუზი-ჭერია განაგრძობდა შემაწუხებელ ჭუკიტის და მას ბუდესთან ახლოს კაცის ნაფეხური ჩანდა, კვერცხებიდან ბალიში გადაცურებული დახვდა, მაგრამ გასაკვირველი ის იეო, რომ კვერცხები ისევ ისე ელაგა.

მწვანე ფრთიანი თანდათან გრძნობდა, რომ მის გულმი იღვიძებს დედობრივი სიუფარული და ემზადებოდა იმ დროისთვის, როდესაც გამოიჩინებოდენ ათ ნაწუჭები ღამწევდეულნი ბარტები, ზოგჯერ ისვი მოუკრუცებდა კვერცხებს და გეგონებოდათ კვერცხებიდანაც ნელის წრინით ხმას იძლევიანო, ისეთი ჩუმის ხმით, რომ ადამიანის უკრამდის ვერ მიახწევდა.

დედა-ისგმა ახლა სხვა შიში იგრძნო. ზაფხული გვალვიანი დადგა. ბევრმა ღღებმა განვლო, რომ

ნამი წევიძა არ მოსულიერ და გამოჩეკის დოო  
კი ახლოვდებოდა; ღედამ თავის საუბედუროთ შეამ-  
ჩნდა, რომ გუბე თან და თან შრებოდა. იმის გარ-  
შემო ტალასი და ჩანდა და თუ წევიძა არ მოეშვე-  
ლებოდა, მაშინ ჭუჭულებს საძიძარი მდგომარეობა  
მოელოდა, უნდა გადასულიერებნ სხვა დიდ გებეში.

როგორც გამოჩეკის დაჩქარება იუო მნელი, ისე  
წევიძის მოუვანა და ამ უკანასკნელ დღეებში ღედა  
მალიან დანაღვლიანდა და მწირეთ შესცემოდა თით-  
ქმის მთლათ დაშრალ გუბეს, რომელშიაც ნატამალი  
წეალი აღარ მოჩანდა.

თეთრი ბროლივით ნაჭუჭი როგორც იუო გა-  
მოტედა და თითოდამ თითო გარეული იხვის ჭუჭუ-  
ლი გამოვიდა ეგითელი გინგლით შემოსილი.

მაგრამ ბედა უმუშთლა, ამათვის სხვა წელიან  
ადგილამდის მიხწებ თითქმის შეუძლებელი იუო.  
ოხ, მზემ ერთ სამ დღეს მაინც რატომ არ დაუტოვა  
ამ ჰატარა ჭუჭულებს წეალი, რომ ეცურგათ და  
ამით ცოტა მაინც გამაგრებულიერებნ! მაშინ ისე მნე-  
ლი აღარ იქნებოდა მოგზაურობა მათვის. ღედას  
უნდა ახლავე გადაეწევიტა ეს მძიმე საკითხი: შესძლე-  
ბენ მორს გადასვლას თუ დაიღუპებიან. მართალია,  
რამდენიმე საათის განმავლობაში ახალ გამოჩეკილებს  
ჭამა არ სჭირდებათ, ისინი იმით კმაყოფილდებიან,  
რითაც კვერცხებში საზრდოობენ, მაგრამ როდესაც



ესეც გამოელევათ, მაშინ კი დაუკოვნებლივ საჭიროა  
მათთვის საზრდო.

მახლობელი გუბე კარგა სიშორეზე იუო მათგან. კიდეც ეს აშინებდა დედას. ის ფიქრობდა, ვაი თუ ღონე არ ჰქონდეთ ამ ჩემ პატარა ჭუჭულებს და ასეთ სიშორეზე გერ შესძლონ გავლა! გზაში ათასი მტერი დაგვწვდება: მაღლი, მიმინთ, ქორი, მელია, მგელი, ცოვი, მიწის თრითინა და ბეჭედი. შველა ამათ ჩემი ჭუჭულები ერთ ლუკმათ არ ეუფართ.

დედა იხვი კარგათ გრძნობდა ამას, თუმცა კი ვერ შეეძლო გამოთქმა. ორგორც კი ათივე ჭუჭული ცოტა გამოიმუშან, დედამ მაშინვე ბალახში გაიგვანა. საშინელი ევირილი ასტეხეს პატარებმა და ეირამხლა გადადიოდენ. დედა ურთი თვალით მათ უეურებდა და მეორეთი არე-მხრეს ათვალიყრებდა. მთელ ქვემანაზე ამათ დედის მეტი პატრონი არავინ გაასწდათ.

## II

დიდის ვაიგაგლასით გრძაიარეს ბალაში და ალ-  
გის ხეებ ქვემ წამოსხდენ დასასვენებლათ. ურთი ჭუ-  
ჭული უფრო სუსტი იუო და იმისთხნათ დაიღალა  
და ბოდუნდა, ორმ იმედი არ იუო მიეხწია გუბემდის. როდესაც ჭუჭულებმა ცოტათი დაისვენეს დედამ დინ-  
ჯათ დაუკოუტუნა, ეს ნიშნავდა: „აბა, შვილებო,  
გავუდგეთ გზას!“

ესენიც გაუდგენ გზას. მათ სიხარულს, ჭუჭ-

## დედა იხვის გაჭირვება.

ტინს ბოლო არ ჰქონდა, როდესაც კარგათ გაივლა—  
დენ გამომულ-გამომულ ბუჩქნარიან ადგილებს. მაკ-  
რამ სადაც ფეხები გაეზღანდებოდათ დედა უნდა მი-  
შემლებოდა.

ბოლოს, როგორც იყო, გამლილ მინდორზე გა-  
ვიდნ. აյ მართალია, ადგილი იყო სიბრული, მაგ-  
რამ სხვა ძიმი ჰქონდათ,—ქორისა ემინოდათ. დედა  
დიდხანს გაჰქიცებდა ცას; როდესაც დარწმუნდა რომ  
ახლო-მახლო არავერი მოჩანდა, მამინ უბრძანა თა-  
ვის პატარა ჯარს გაჰქიცოდა მინდორში, რო-  
მელიც, სულ ცოტა რომ ვთქვათ, სიგმით ასი ნაბი-  
კი მაინც იქნებოდა.

ჭურულები დაემორჩილებ, გამხლეს ფრთები და  
გაჰქიცენ დედას.

დედა-იხვს უნდოდა, რომ ერთხელათ გადაეტა-  
რებინა მინდორი, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა. რომელიც უფრო ღონივრები იუვენ თამამდ მის-  
ღვდებ, დანარჩენები ზოგი ჩად ჩამორჩა, ზოგი სადა.  
ამათ მხოლოდ მინდვრის ნახევარი მანმილი გაიარეს  
ძლიერ-ძლიობით. სუსტი ჭურულები უკან ჩამორჩენ.

ამ პატარებს მალიან გაუჭირდათ მოგზაურობა  
და ქანც გაწევეტილები ძლიერსდა სუნთქვდენ; ჭევი-  
ტინით შემოეხვიენ დედას, რომელიც ამათი საცო-  
დაობით საძინლად იტანჯებოდა. ჭურულები და მათ-  
თან დედაც დაეკარენ მიწაზე დასახვენებლეთ. პატარა  
ხანს შეძღვებ დედამ ისევ ნელის კრუტუნით: „უჩა-

ღათ, შვილებო, უოჩადათ!“ წაასხა. ნაზევარი გზა არც კი ჰქონდათ დარჩენილი გუბემდის, მაგრამ ისე დაფლილი იყვნ, რომ მხსლობელ ბუჩქამდის ძლივს მიაღწიეს. ამ დროს უკროიგ სად იუო, სად არა, გამოხხდა უძველებელი ქორი და იმათვენ გაუხვია, დაბლა, დაბლა მიწაზედ დაეჭვა.

„დაწეჭით!“, — თავისებურათ უბრძანა დედა იხვმა და ჰვალა გაილართხა მიწაზედ. ამათ ერთი პატარა ჭუჭული აკლდათ, უკან ჩამორჩენოდათ და დედის ბრძანება გროვა გაუგო. ქორი პირდაპირ იმისკენ წამოვიდა, ერთ წამს მოიტაცა და გააქცია. საბრძლო დედა დამუნჯებული უურებდა, სანამ იმის შვილის ჭეიბინი არ შესწუდა. დაუნდობულმა მტერმა მოაძირა ის დედას.

მწუხარება მწვანე ფრთიანი იხვისა დიდი იუო, ადამიანის მწუხარებაზე ნაკლები არც კი იქნებოდა. დედა იხვმა საჩქაროთ ჭუჭულები ბუჩქებში მიმალა და სოლო მაძინ ამოისუნთქეს გველიშ თავისუფლათ.

ეხლა სანატრელ გუბემდის გზა თითქმის სულ ბუჩქებთა შორის იდგა. მხოლოთ ერთი საათის სავალი-და დარჩათ. მადლობა ღმერთს, მალე მიაღწევენ! საბრძლო იხვებს ღონე გამოეცალათ, უეხები მოლათ დაკაწრული და დასისხლიანებული ჸქონდათ და წინანდელი მხნეობა სულ აღარ ეტეობოდათ, როდესაც უკანასკნელათ ალვის ხეებ ქვემ შეისვენეს. მნელი წარმოსადგენი იუო, რომ სიკვდილი სულ

ახლოს, რამდენიმე წაბიჯზეა ამათგან. თურმე ჰატარა ისვებმა გვა გადუჭრეს უძველებელ წითელ მელიას. მელიამ იკრძნო, რომ მას ელის ტკბილი ლუქმა და ის იუო კვალს უნდა მიჰყოლოდა.

აი, კიდეც შორიდამ დაინახა თავისი მსხვერპლი. ის მხოლოდ უნდა გახტვდებოდა, რომ დედა და შვილები შეეჭამა და იმდენათაც მიუახლოვდა ამათ, რომ შეეძლო დაეთვალო, თუ კა ეცოდინებოდა თვლა. მაგრამ ქარმა რაღაც ჩასჩურჩულა მას; ის შედგა, გაინაბა მიწაზედ, კიდევ ერთხელ შეისუნოქა ჰაერი და რაც მალი და ღონე ჰქონდა, მოჰკურცხლა. ის საძინელი საფრთხე, ას სიკვდილი, რომელიც ისვებს მოელოდათ იმისგან, რაღაც უჩინარმა მალამ ააშორა. თვით შორის გამჭვრეტმა დედამაც კი გურაფერი შეამჩნია.

### III

შვილებს სელასხლათ მიუკრუტუნა დედამ, რომელსაც უკანასკნელათ უნდა გადაეტარებინა დარჩენილი ჰატარა მინდორი. აი, მოხანდა კიდეც ვრმელი ხის ტოტი გუბეზე გადმოწოლილი. დედა-ისვი სისარულით გარდოდა და ჭუჭულებს ეუბნებოდა: „მარდათ, შვილებო, მარდათ!“

ეს მინდვრის წაჭერი ურმის წავალი იუო, ორივ მხრივ კვალი იუო გაუგანილი და ამ კვალში უცრისთ ჩაცვივდა ოთხი ისვი. სუთმა დანარჩენმა, როგორც იუო, აუხვიეს ამ კვალს, მაგრამ მეორე უფრო გა-

ნიერ და ღრმა კვალში ჩაიძალენ. დალახვროს დმე-  
 რთმა! ეს რაღა უბედურება შეემთხვათ ამ საცოდავებს!  
 ურმის თვალის ნაგებლს ორსავე მხარეს ბოლო არ  
 უჩანდა, და დედამ არ იცოდა, როგორ ეძველა შვა-  
 ლებისათვის. უკელანი სასოწარკვეუთილებაში ჩაცვიუ-  
 დენ. იმ დროს, როცა დედა წინ და უკან ეხლებოდა  
 და შვილებს ემუდარებოდა უკანაკნელი ღონე მოე-  
 კრიფათ,—უყრისთ გამოჩნდა ის, ვისიც დედა-იხვეს  
 უკელანე მეტათ ეძინოდა, —იხვების მოსისხლე მტერი,  
 თავზარდამცემი, უშველებელი კაცი.

საბრალო «მწვანე ფრთიანი» კაცს ჩაუვარდა ფე-  
 ხებში, ბალახში ფართხბლი დაიწეო, უნდა მომტეუ-  
 ებინა, თავი დაჭრილათ ქჩვენებინა და ამითი შვა-  
 ლებისთვის საფოთხე მოემორებინა.

მაგრამ კაცი ეშმაკობას მიუხვდა, არ მიაქცია  
 უურადღება. ამ დროს ურმის ნაგებლი მან შეამჩნია  
 იხვის ცხრა ჭუჭული, მათი მოელვარე თვალები  
 თითქოს ცდილობდენ დამალოდენ მას. კაცი დინჯათ  
 დაისარა და უკელანა თავის ჭუდმი ჩაასხა. საბრალონი  
 რა ნაირათ ჭუიბინებდენ! უბედურ დედას ენანებოდა  
 შვილები. ის დარწმუნებული იყო, რომ ამ კაცს ერთ  
 ელბათ არ ეეოფოდენ. გამწარებული დედა ხელ ას-  
 ლათ ჩაუვარდა კაცს ფეხებ ქვეშ და ახლიდა გულს  
 მაწაზე. გულ-ქვავი, მასინჯი კაცი გუბეს მიუახლოვდა,  
 ალბათ ჭუჭულების მოსანელებლათ წებლი უნდა  
 დაელია. იხვმა დაინახა რომ კაცი დაისარა წეალთან

და ერთი წამის შემდეგ ჭუჭულებმა დაიწევს თავისუფლათ წეალში ჭუმალობა, დედა მამინვე გაეჭანა მათკენ.

„მწვანე ფრთიანი“ იხვი ახლა კი დარწმუნდა, რომ კაცი მისი კარგი მეგობარი უოფილა. ამასთანავე იხვი ვერ მიხვდა, რომ მელიასთვის საკმარისი იყო კაცის დანახვა, რომ მოეკურცხებდა და ამითი გადარჩენილიუვენ ამასი შვილები.

დედა-იხვი მაინც და მაინც ცდილობდა თავისი შვილები ამ კაცისაგან მოეშორებინა და სულაც არ მოელოდა რომ უფრო სხვა უძედურობას წააწევდებოდა. ისევ იმ ქორმა, როგორც კი დაინახა ჭუჭულები გუბეში, წამოუქროლა და იმედი ჰქონდა რომ თითო კლანჭები თითოს მაინც აიტაცებდა.

— გავეშუროთ ლერწმებმი! — დაუკირა დედამ თავისებური ქნით და ჭუჭულებიც გაეძურენ ლერწმებისკენ თავიანთი დაღალული ფეხებით.

მაგრამ ქორი თავზედ წაადგათ. ერთი წამიც და ის მისწვ-



დებოდა ჭუჭულებს. ჩაუკრუმალება ჯერ არ იცოდეს ამათ და ხსნა არსაიდან არ მოელოდათ. ის იქთ, ქორს უნდა მოეტაცნა ჭუჭულები, რომ თავდადებულმა დედამ ფეხების და ფრთების შემწეობით ქორს წეალი გადასხა. ქორი ერთ წამს გამტერდა და აფრინდა, რომ წეალი გაებურტეა. დედამ დაიწეო შვილების გამხნევება, ისინიც მიემურებოდენ ლერწმებისაკენ. მაგრამ ქორი ხელახლათ დაეძვა მირს... დედა იხვმა წეალი და წელის ქაფი კიდევ და კიდევ მეასხა. ქორი სამჯერ მოუბრუნდა ამათ და სამჯერვე იხვმა წელის შესხმით გაისტუმრა, ვიღოვ თავისი შვილები უძიშარ ადგილას, ლერწმებში არ შერეებ. მამინ გაბრაზებული ქორი მიგარდა დედა-იხვს; ამან იცოდა ჩაუკრუმალება. ერთი კიდევ გასწუწა ქორი და ბოლოს წეალში ჩაიმალა. პატარა ხანს უკან, შორს, ლერწმებში, დედა იხვმა ამოჰეო თავი და ნელა. ნელა შვილებს დაუწეო დაძახება: უვიტ! უვიტ! ცხრა ღონე მიხდილმა ჭუჭულმა გასცურეს იმისკენ და ახლა კი ძლიერს სრულ დასკენებას მიეცენ.

იმ დროს, როდესაც იხვის ჭუჭულები პირს იც მაცუნებდენ სხვა და სხვა მწერების ჭამით, შორიდამ მოისმა რაღაც ჭუჭიტინი. „მწვანე ფრთიანმა“ ჩვეულებისამებრ დაუძახა: უვიტ, უვიტ! უეცრად მწვანე ისლიდან ამოძვრა ის ჭუჭული, რომელიც წინათ ქორმა მოიტაცა. მან გასცურა დედისაკენ ისე უოჩადათ, გეგონებოდათ პარგათ შეუსწავლია ცურვაო. მწვეტიან

ქორის ფრჩხილებს არაფერი ეპნოთ იძინოდის. მამა-  
ცი ჭარლი დაწმეოდა ქორს იქვე გუბესთან და ნის-  
კარტის ჩაკვრით გაემვებინებინა ჰრეკალებიდან გემ-  
რიელი ლუქმა, პატარა იხვი წეალში ჩავარდნილიერ  
ლერწმენში დაბალულიერ სანამ არ მოემველა დედა,  
და-მძები. მამინ ისიც იმათ შეუერთდა და დაიწეს  
უველამ ერთად ბედნიერათ ცხოვრება იმ დრომდის,  
სანამ ფრენები გავარჯიშდებოდენ.

(თარგმანი)

ელ. მამულაშვილი-ვასაძისა.



## პატარა გიოლეტა.

(შესინის მიწის ქვრის შსვერტიდან).



ნდრე და მცირ ცოლი ჟულიეტა  
დიდ ხანს არჩევდნენ საშობაო სა-  
ჩუქარს სათამაშობს დუქანში, თა-  
ვისი პატარა გიოლეტასთვის.

პირ ისეთი პატარა რამ უნდა  
ეყიდნათ, რომ იმის პატარისა ფეხ-  
საჭმელში ჩატეულიერ, მაგრამ ჟუ-  
ლიეტას უცემ თვალი შეუვარდა  
ერთ დიდ, ლამაზ და მშვინვრად  
მორთულ დედოფალზედ. დედოფა-  
ლი მრიელ ჭირად ღირდა, მაგრამ  
ქმარს მაინც არ მოეშვა და აუდვინა.

— საძინლად ჰეგავს გიოლეტა!

— აღტაცებით ამბობდა ჟულიეტა, — იმასავით ჭრელ-  
თვალბა, მაგ გულულებიანი, კომწია და ლოუა წი-  
თელი. კაბაც კი სწორეთ ისე აქცს შეპერილი, რო-  
გორც მე მოუმხადე საშობაოთ ჩემ გოგონას. ახლა  
შლიაბა ხახე, რა მშვენიერება! სახაფხულოდ გიო-  
ლეტას სწორედ ამ ფასონს შეუკერავ.

— მრიელ კარგი, მეგობარო, მაგრამ მაგრდენა რომ სად უნდა დამხლო, რომ გიოლევიას მკვირცხლმა თვალმა ვერ დაინახოს გათენებამდე? — უთხოა ცოლს ანდრეებ და თითონაც სიამოვნებით დაუწეო უურება პარიზში გაპეტებულ, მართლა რომ ნამდვილ ადამიანის მსგავსს, დედოფალს.

შობის წინა ღამეს, ოვგორც ერველგან ევროპი, ისე მესინიშიაც. ბავშვებს ჩვეულებათა აქვთ, რომ ბუხრის წინ ფეხსაცმელებს დააწეობენ და ისე დაიძინებენ. „ღამე ანგელოზი მოვრინდება და შიგ საშობაო საჩუქარს ჩატვიდებსო“.

გიოლევია თავისი კოშტია ბაშმაკები გაწმინდა, გაასუფთავდა და ბუხართან დააწეო. თითონ ლამაზ ლოგინში გადაგორდა და დაიძინა. შობა დილით ადრე, ვერ ისევ რომ ფარდები ჩამოვარებული იყო და ოთახში ბინდ-ბუნდი იდგა, ვიოლეტამ თვალები გააჭირა, საჩუქართ ბუხრისკენ მიიხედა და თავის ბაშმაკებზედ რაღაც დიდი უშვილებელი, პირისფერ ქაღალდში განვეული უკი დაინახა; ის საჩუქარდ წამოსტა, უკი ხელი დაავლო და ლოგინთან მიიტანა. გული უფანცქალებდა მოლოდინით, ხელები უბანკალებდა. ლენტებით ჰეპრული პირისფერი ქადალდი გადაგლივი და უკი თავი ახდა:

— ოხ, დმერთო! დედოფალი, დიდი, მშვენიერი დედოფალი! — შეჭევირი ბაშმა. — ჩემი შვილი იქნება, ჩემი მარიანა!

მერე ნელა-ნელა ამოიღო, თითქო ემინოდა,  
 ოომ თვალებ დახუჭულ დედოფალს არ გამოდგიმე-  
 ბოდა და გულზედ მიიხუტა. დედოფალმა მკაფიოდ  
 დაიძახა: „დედა, დედა“ კიოლეტას შიძით კინაღაშ  
 ხელიდან გაუკარდა, ძლიერ მოასწრო და ისევ ლო-  
 გინზედ დაასვენა. დედოფალმა კვლავ თვალები დახუჭა.  
 ბავშვმა მერე ისევ აიღო და გულზედ მიიკრა, დედო-  
 ფალმა თვალებიც გააღო და „დედა, დედა“ დაიძახა.

— ხა, ხა, ხა! — ახლა კი გადისარხარა ჰატარამ,  
 მოაგონდა ოომ ამის ერთ ნათესავს ჸქონდა ამისთა-  
 ნა დედოფალი და კვლავ გულზედ ხელი შეასო თა-  
 ვის საუნჯეს. დედოფალმა ახლა „მამაც“ დაიძახა.

— რა კარგია, რა ლამაზია! — ხტუნაობდა ფე-  
 შიშველი კიოლეტა და თან გულზედ იკრავდა დედო-  
 ფალს და „დედ-მამას“ აუკირებდა.

ანდრე და ქულიეტა მეორე ოთახიდან უურტ-  
 დნენ და სტკბებოდნენ თავისი გოგონას სიხარულით.

— ხედავ, როგორ უხარის? — ეუბნებოდა ცოლი  
 ქმარს, — განა სხვა რა საჩუქარი გაახარებს ასე ჰა-  
 ტარა ქალს. ახლა ნახე როგორ უძიმავებს, მორთავს,  
 სახეირნოთ ატარებს. სწორედ ამხანაგათ მიიმჩნევს.  
 სახელიც რო დაარქვა: მარიანა, მარიანა! ჩემი დის-  
 ტულის, ჰატარის, სახელი!

შობა დღემ მთელი ოჯახისათვის დაუსრულებელ  
 სიამოვნებით ჩაიარა. კიოლეტა მთელი დღე მერცხა-  
 ლივით ჭიკჭიკებდა. დედ-მამას სულ თავის მარიანა-  
 ზედ მოუთხოობდა:

— ბაღში უნდა წავიკვანო მარიანა, კამიეტები  
 უნდა უკიდო, უნდა გაბანაო... საღამოზედ დაღალულ-

დაქნცული გიოლეტა ლოგინში ჩაწეა და თავისი  
ძარიანაც გვერდით მიიწვინა.

ანდრე და ქულიეტა ბედნიერად გრძნობდნენ თავს  
და თავისი შეილის ოთახის გვერდით მეორე ოთახში  
გვმრიელზდ ემინათ.

განთიადი მოახლოებული იყო. წვიმდა. საში-  
ნელი ბობოქობის ხმა მოისმოდა ზღვიდან. უცებ  
სახლი შეირეა, მერე მძლავრად შეირწო აქეთ-იქით.  
ჭერმა, კედლებმა ლაწა-ლუწი დაიწეო. ვიოლეტას  
გამოეფვიძა, შეკრთა, რაღაც გამოურკვემდელი შიში  
იგრძნო, დედოფალი უფრო მაგრად მიიკრა გულზედ  
და საცალა უფსკრულში გაჰქირდა.

მესუთე დღეს აუარებული მუშა სთხოდა იმ უძ-  
ულებელ სახლის ნანგრევებს, რომლის ერთეული  
სართულში ანდრე და ქულიეტა იდგნენ. ერთი ოთა-  
ხის ჭერი მთლიანად ჩაწოლილი იყო და ხუფივით  
თავს გადასდგმოდა იმ ოთახის ნანგრევებს რომელ-  
შიაც ვიოლეტა იწეა. როდესაც ჭერი ციმციმ ასწიეს,  
იმას ქვემ ვიოლეტას საწოლი სელუსლებული იდგა,  
ზედ გულშემოურილი ემაწვილი იწეა და გაჯზედ  
ლამაზი დედოფალი ესვენა.

ბავშვი საწოლიანათ ნეაპოლში გაგზავნეს და იქ  
ექიმობის დროს გამოფხილდა. თვალები აახილა,  
აქეთ-იქით მიიხედა. თავის თავის სახლში ეგო-  
ნა და გაიცინა. მერე კი, როცა გარშემო უცხოები  
დაინახა, შეკრთა, თავზედ საბანი წაიხურა და დედო-  
ფალი ისე მხურვალედ ჩაიკრა გულში, თითქო  
გრძნობდა, რომ ქვეუნაზედ იმას „მარიანას“ მეტი  
აღარავინ გააჩნდა.



ବିଲ୍ଲେଟିଂ ସାଧାରଣତଥାତିଥି.



## მ დ ი ნ ა რ ქ.

(ცუძღვნი საშა გ. საბაზტარიშვილი).



თის კალთებიდან წამომსკდარი, თავისუფალი,  
ის ჩირგვებს შორის მიჩრიალებს დაქანებული,  
ხან აჩქარებით მან მსწრაფლ განვლო მთა მი-  
უვალი,  
ხანაც გარშემო კლდეს ეხეთქა აღქაფებული!

—  
კლდეში და მინდვრად მოღუდუნე ანკარა წყარო,  
დედა-მიწის და მცენარეთა შსაზრდოებელი,  
დღეს, იგი როს კვლავ დანავარდობს, სტკბება სამყარო...  
მთვლემარ არსების იგი არის გამცოცხლებელი!

—  
ბუჩქნარ კლდეებში, კორდებს შორის ლალად შობილი,  
ვითა მეტყველი ტკბილ ჰანგებზე უმღერს ბუნებას;  
თვისის ჩხრიალით დაარღვია არსთა დუმილი...  
ცქვიტი, მმოძრავი შეუერთდა ზღვის მღელვარებას!

—  
ვერვინ შეარყევს ყოველ დღიურს შენსა დენასა,—  
ნეტავი შენ რომ თავისუფლად დახვალ მდინარევ!  
მარად მებრძოლი კვალად ცდილობ მტრის შემუსვრასა,  
შეისა სხივებზე კვლავ ბრწყინვალე და მოელვარევ!  
ლადო გეგმეკორი.

# ქარიშხალი.

ა. სერაფიმოვიჩი  
(თარგმანი)



აი, ვაი, ვა... — შორს გაისმოდა მოკაშ-  
კამე ზღვაზე ანდროს ყვირილის ხმა, რო-  
მელიც საბრალოთ იკლაკნებოდა ნავში.

— მეტი არა, ბაბუა... შემდეგში არა.

ბაბუა იყო მოხუშული კაცი, მრისხა-  
ნეთ გამოიყურებოდა; სქელი, კალარა  
ნარევი წარბები თვალებზე ჩამოფარებოდა;  
მზისა, ქარისა და ზღვის მარილიან წყლი-  
საგან სახე სრულიათ გაშავებოდა. მას ერთი ხელი ბავშისა-  
თვის კისერში ჩაეჭიდა და მეორეთი კი უწყალოთ სცემდა  
გაფისული თვეკით, რომლის კვალი მკაფიოთ აჩნდებოდა ბავ-  
შის ნაზ სხეულს. ბოლოს, როცა ცემით გული მოიჯერა,  
მტირალი ბავში იქვე დააგდო ნავის ფსკერზე და თითქოს აქ  
არაფერიაო, თავისი აღვილისაკენ არხეინათ გაბრუნდა. საბ-  
რალო ბავში წამოდგა ცრემლების ყლაპვით, გადააწვა ნავის  
კიდეს და ბადეს, რომელიც ის იყო, გამოჩნდა წყლიან,  
სინჯვა დაუწყო.

ირგლივ წყალი ისე ბრწყინავდა და კრიალებდა, რომ  
აღამინი შისგან უკუქცეულ სხივებს თვალს ვერ გაუჩერებდა;  
უოველგან სიწყნარე იყო და ზღვის ზედა პირი აღამინს გა-  
ყინულათ მოეჩვენებოდა, რომ ხანდახან უფერო წყლის ნაო-  
ჭებს არ დაერღვია გაშეშებული მიღამო ზღვაზე. მზეს მეფუ-  
რათ დაებინავა მაღლა ცაში და მისი მხურვალე სხივებისაგან  
ისეთი სიცხე იდგა ჰაერში, რომ თავისუფლათ თვალის გახე-  
ლაც კი გასაჭირო და საძნელო იყო. ნავი ფიცრები,

## ქარიშხალი.

რომლისაგან სიცხის გამო ფისი გამოსდიოდა, აგრეთვე იმავე ფერის თოკები გადაჯვარადინებული ანძაზე, მტვერისა და ფისისაგან გაშავებული იალქანი შავათ, მკაფიოთ გამოიყურებოდა გაჩერებულ, უძრავ მოპაპანაქე ჰაერში.

ნაპირები არსაიდან არ მოსჩანდა. ანდრო კი გარისხებული, მოლუშული სახით განაგრძობდა ბატის სიჯვას და ფრთხილათ გამოჰყავდა ბატის უბიდან შიგ გახლართული თევზები. ჯერ კიდევ ღამის ორი საათიც არ იქნებოდა, როცა ანდრო და ბაბუა მისი ზღვაში ნავით გავიდენ. სუსტი, ოდნავ მოძრავი ნიავი ძლიერ მიათრევდა ნაეს. როგორც კი ინათლა და ცას და ზღვის ზედა პირსაც ვარდის ფერმა გადაჟრა ამომავალი მზის სხივებისაგან, მეთევზებს წყნარი, უზიარმაზარი და მდუმარე ზღვა მთელი თვისი თვალ-უწვდენელი სივრცით თვალშინ გადაეშალათ. სუსტი ნიავიც ჩადგა. ძალა-უნებურათ ნიჩბებისათვის უნდა მიემართნათ, ხან ერთი, ხან მეორე მორიგეობით მოუსხდებოდენ ნიჩბებს. ანდროს ჯერ კიდევ სუსტი ხელები ცოტა ხანს თავისუფლათ ამოძრავებდა ნიჩაბს, მაგრამ გავიდა ერთი, ორი საათი და საბრალომ იგრძნო თავისი უძლურება. ისეთ საშინელ ტკივილს გრძნობდა წელში და მკლავებზე, რომ ყოველთვის, როცა უკან გადაიხრებოდა და ნიჩბები შხაპუნით დასრიალდებოდენ წმინდა, ოქროს ფერათ შელებილ ტალღებში, ასე ეგონა მეტს ვერ აიტანდა, ვერ მოინაცვლებდა მეორეჯერ ნიჩაბს, ისე გამოელია არაქათი. მაგრამ რა უნდა ექნა? თავს ძალას ატანდა და ნიჩაბი ისევ გადაჭრიდა ჯერ ჰაერს, მერე ისევ შხაპუნით ჩაყოფდა წყალში თავს და ნავიც თუმცა კუს ნაბიჯით, მაგრამ მაინც წინ მიცოცავდა. ბოლოს, როგორც იყო, ნავის ცხვირზე უძრავათ მჯუომმა ბაბუამ წაილაპარაკა:

— გეყოფა, ანდრო!

გახარებულმა ანდრიამ მეორეჯერ არ დააცალა გაემეორებია სიტყვა, უცებ მოსკილდა ნიჩბებს მარდის ნაბიჯით და დაჯდა ბაბუას ადგილზე. ბაბუა კი მოუჯდა ნიჩბებს და დაიწყო ჯინიანათ მოსმა. ამასობაში ანდრო მესაჭეს მაგივრობას ასრულებდა, აცქერდებოდა პატარა ტალღებს, რომელნიც ნიჩ-

ბებისაგან რგოლებათ გარბოდენ; უყურებდა ბაბუას როცა-  
 დრო-დროზე, მწყობრათ დაიხრებოდა წინ, შემდეგ ისევ  
 გაიმართებოდა; იწმენდდა ოფლისაგან დასველებულ სახეს და  
 ამ დროს სიამოვნებით ეძლეოდა მოსვენებას.

ზღვის კიდიდან ამოიმართა მზე და წყლის ზედა პირი  
 გაანათა ბრწყინვალეთ. აშკარა იყო, რომ დღევანდელი დღე  
 სიცხიანი დადგებოდა; არსაიდან სუსტი ნივიც არა ჰქონდა.  
 ყოველგან სიჩუმე, სიჩუმე რომელსაც მხოლოდ ნიჩის ხმა-  
 ურობა არღვევდა.

ზღვიდან მაღვ ამოჰყვეს თავები მრგვალ მოტივტივე ნა-  
 ფოტებმა, რომლებზედაც დამაგრებული იყო ბადე. მენავეები  
 მიუახლოვდენ ერთ ასეთ ნაფოტს და ფრთხილათ ასწიეს იგი,  
 შემდეგ ნავითვე დაიხიეს უკან და დაუწყეს ბადეს გადასინჯვა-  
 ბადე დიდი იყო, რამდენიმე საერნი ჰქონდა სიგრძე. ან-  
 დროს, რომელიც მთელი სხეულით გადაწოლილი იყო ნავი-  
 დან, უხაროდა ანკარა წყალში ყურება, რომელშიც ჯრო-  
 გამოშვებით რაღაც გაიელვებდა თეთრათ და ერთი კიდიდან  
 მეორემდე შეანძრევდა ბადეს. შემდეგ გამოჩნდებოლა ბადის  
 უბეში ლაყუჩებით გახლართული თევზი, რომელიც შხაპუნით  
 ასხამდა ყოველ მხარეზე წყალს. ანდრო დაავლებდა ხელს,  
 სიჩქარით ჩაუყოფდა ნაზ ლაყუჩებში თითს და ფრთხილათ  
 გამოაძრობდა შიშისაგან დარეტიანებულ თევზს, რომელსაც  
 იქვე ნავის ფსკერზე დასხმულ წყალში ჩაუძახებდა. იგიც  
 ტკივილებისაგან თავზარდაცემული დაიწყებდა აქეთ-იქით  
 ფართხალს, წყლის კორიანტელს ააყენებდა თავის გარშემო  
 და ანგარიში ვერ მიეცა თუ რა დაემართა, ან რათ გაჩნდა  
 ასეთ ვიწრო ადგილას. ყოველ ღონისძიებას ხმარობდა თავი  
 დაეხწია განსაცდელისაგან, მოშორებოდა იმ ადგილს, სადაც  
 სული ეხუთებოდა და საბრალოთ იბერავდა გასისხლიანებულ  
 და დაზიანებულს ლაყუჩებს.

მზე უფრო მაღლა-მაღლა იწევდა და სიცხეც რაც დრო  
 გადიოდა, უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ზღვა, რომელიც  
 დაღალულ არსებას მოგავონებდა, უმწეოთ შეჰყურებდა თორ-  
 ნესავით გახურებულ ცას. ანდრო ძლივს იბრუნებდა სულს

სიცხისაგან, და მარტოობისაგან თავ-მობეზრებული თევზები ემუსაიფებოდა.

— ა-ა-ა! შე ლიფსიტ გრძელ კუდიანო,—ეუბნებოდა თევზს,—მოითმინე... კარგათ რომ მოიშაშები მარილში, მაშინ აღარ იხტუნავებ ასე!.. უყურეთ ამას, ამ ეშმაკს! ახ, შე მელაყუდა შენა! აბა, ჩადი ნავში! ასე... ოპო! ეს ქანარია: გამარჯობა შენი შე დიდ მუცლიანო... დახე, როგორ გასი-ებულა... აბა გამოძვერ ჩქარა, ჩქარა... გამძლარა და ისე გა-სიებულა, რომ მუცელი არ გამოიტია ბადის უბიდ:ნ... ა, შე ეშმაკო! გამოძვერი-მეთქი!.. — და ანდრომ გამოათრია ძა-ლით უშველებელი თევზი და ძლიერ-ძლივობით ასწია ზევით.

— ბაბუა! აი, აი, შეხედე რა მუცელი აქვს!

მაგრამ ვერ მოასწრო ბაბუამ პირის გაღებაც კი, როცა ქანარი განცვიფრებული თავის მდგომარეობით, უცებ გონს მოვიდა, დაიკლაკნა ძლიერათ და გაუცურდა ხელიდან გაუ-ფრთხილებელ ბავშს, შემდევ მარგათ ჩაიყურყუმელავა წყალ-ში და თვალის დახამხამებაში მისი კვალიც არსად სჩანდა.

აი სწორეთ მაშინ გაისმა ჰაერში ანდროს ყვირილის ხმა, მაშინ იყო ბაბუა რომ უხმოთ დაიძრა თავისი ადგილიდან გაფისული თოკით ხელში და რამდენიმე ათეული უთავაზა ცელქ ბავშს.

## II

ანდროს დედ-მამა არა ჸყავდა. რაც ახსოვს თავისი თავი იყი სულ ბაბუა აგაფონთან ცხოვრობდა, თეთრ ქოხში, დი-დი ბზის ქვეშ. აქიდან ერთის მხრით მოსჩანდა ქვიშიანი ნა-პირი და ზღვა, შეორეს მხრით — სანამდისაც თვალი მიუწვდე-ბოდა — უტყეო, მოლიპული, გადამწვარი და გამხმარი ბალა-ხით ზაფარული ველი.

თორმეტი წლის წინათ ამ ქოხში ცხოვრობდა ბაბუა აგაფონი თავისი ოჯახით: ცოლით და ხუთი ბავშით; მაგრამ სახალი ბავშები ერთ კვირაში ყველა დაუხოცა და მას შემდევ შვილი არ ჰყოლია.



ერთხელ, ზამთარში ორივე ცოლ-ქმარი კერძო ნაშროვა ისხდენ და ცეცხლზე თბებოდენ. აგაფონი, დალვრემილი რაღაცას ფიქრობდა და უხმოთ ბადეს ასწორებდა; მისი მეულლე კი ცეცხლთან ფათურობდა. უცებ ვიღაცამ დააკაკუნა. აგაფონმა გააღო კარი და გამოჩნდა ძონძებში გახვეული ქალი, სულ ერთიანათ თოვლით დაფარული. საბრალოს სიცივისა-გან სახე გალურჯებოდა და მთელი სხეული უკანკალებდა; ხელში მკერდზე მიყრდნობილი ეჭირა პაწაწინა ბავში; ისიც, როგორც დედა, ძონძებით დაფარული და ერთიანათ გალურ-ჯებული. საწყალი ბავში არ ტიროდა. ძლივს მოიბრუნა საბრალო ქალმა ენა და სთხოვა შეეშვათ სახლში, რომ დამე გაეთენებია. მაშინვე ცეცხლს მოუსვეს და იჭამეს. ბავში გათბა თუ არა, ქოხი ტირილით გააყრუა და აგაფონის ცოლი ცრემლებს წინსაფარით უწმენდდა; ალექსით და მოფერებით ეპყრობოდა სხვის შვილს, რაფგან თვისი დაკარგული ბავშები აგონძებოდა.

ქალმა სთქვა, რომ ორლოვის გუბერნიიდან მოდიოდა, ყუბანს მიღიოდა ქმრის საძებრათ, რომელიც ნახევარი წელიშადი იყო რაც წასულიყო და მას შემდეგ არც ავი და არც კარგი არაფერი ისმოდა მისი. ფული, რომელიც დაუტოვა თავის ცოლს წასვლისას, გამოლეოდა და მეტი რა გზა ჰქონდა, უნდა მოენახა იგი. გზაზე საბრალო ქალი იძულებული იყო მოწყალებით ერჩინა თავი; რკინის გზებზე კეთილ მოხელეებს უბილეთოთ მოჰყავდათ და საღაც რკინის გზა არ იყო, იქ—ეტლით ზოგიერთ ლვთის მოყვარე ადამიანებს. ასე წვალებით, როგორც იყო, იქსამდის მოეწია. იქიდან დილაზე ადრე გასდგომოდა გზას და გზა-კვალიც დაბნეოდა. ამასობაში მოასწრო სიბნელებ, გრიგალიც თან დაერთო და უკვე სიკვდილისათვის ემზადებოდა ორივე დედა-შვილი, რომ უცებ დაინახა ქოხი და ცეცხლი.

ღამით საბრალო ქალი შეახურა, ბოდავდა, ვერ ისვენებდა საწოლში და ხანდახან კიდეც დაიკივლებდა. აგაფონის ცოლმა სამჯერ ასხურა და დაალევინა ნაკურთხი წყალი, მავრამ ვერაფერმა უშველა; უფრო და უფრო უარესად ხდე-

ბოდა და მეორე ღლეს, საღამოს უფალს მიაბარა საბრუნველი სული.

ანდროს დედა ორ ახსოვდა; მას მხოლოდ ძლიერ აგონ-დებოდა გულკეთილი მოხუცი ქალი, რომელიც მას ბანდა, აჭმევდა, ასმევდა და ორწევდა ჰერჩე ჩამოკიდებულ აკვანში. მას ახსოვდა აგრეთვე, როცა ოთხის წლისა იყო, მოვიდენ ვილაც ოთხი კაცი, აიღეს მოხუცი ქალი იმ ტახტიდან, საღაც ეძინა, სანთლებს მოუკიდეს, მერე დასდევს ხატებს ქვეშ. შემდეგ ასწიეს და საღლაც წაიღეს. ეს ახსოვდა მხოლოდ და შემდეგ კი გულკეთილი ქალი ორსად უნახავს. მას შემდეგ ანდრო დარჩა აგაფონთან მარტო. ახსოვდა აგრეთვე რომ, როცა ბაბუა მოემზადებოდა ზღვაში წასასვლელათ, წაიყვანდა მას მახლობელ სოფლათ, რომელიც ზღვის ნაპირიდან სამ ვერსზე მდებარეობდა და მიაბარებდა თავის ნათესავ მოხუცებულ ქალს. როცა ანდროს ექვსი წელი შეუსრულდა, ბაბუას თან მიჰყავდა სათევზაოთ; ანდრო ეხმარებოდა მას, ეძინა ნავის ცხვირზე ბაბუასაგან ვაშლილ ჩალაზე, ზევით კი ფრინვლები დანავარდობდენ, მზე ანათებდა და ტალღები შხაპს აპკურებდა.

როცა კი შვიდის წლის გახდა, მაშინ ნავზე ძილს თავი დაანება და მისი მოვალეობაც გაიზარდა: იგი ეხმარებოდა ბაბუას ყველაფერში. ადრე ადგებოდენ, ასე დილის სამ სა-ათხე. ანდრო ცივი წყლით სახეს გაიგრილებდა, შემდეგ შეიხოცდა პირს სახელოთი, პირჯვარს გადაისახავდა ქოხის იმ კუთხეში, საიდანაც დილის მოციმციმე ვარსკვლავი ბრწყინვავდა, იტყოდა „მამაო ჩვენოს“ და „წმინდა ხარ, წმინდა ხარ“-ს, რადგან მეტი ლოცვა ორ იცოდა,—ისიც შეცდომით. შემდეგ გაახურებდა ფეხს, გაფუჭვნიდა კარტოფილს, მოხარ-შავდა თევზს. როცა ისაუზმებდენ გაეშურებოდენ სათევზაოთ.

როგორც ზღვაზე, ისე შინაც. იმდენს ამუშავებდა ბაბუა ანდროს, რამდენსაც თვითონ მუშაობდა: იალქნის გასწორება, ნიჩბის მოსმა, ბადის შეკეთება, ბაჭრების თავის მოყრა, წყლიდან ამოტანა, წყალში ბადის ჩაშვება, თევზების ამოკრეფა და მათი ან კესებიდან გადმოსხმა, ნავის გაფისვა და სხვა. ამას ყველაფერს შეჩვეული იყო ანდრო. იგი იძულე-



ბული იყო ცველაფერი გაეკეთებინა, თუმცა არაქათი ელეოდა აუტანელი შრომისაგან. სულ პატარა, უმნიშვნელო შეცდო-მისათვის ბაბუა საშინლათ სჯიდა საბრალოს. საკმარისი იყო თავის დროზე ან არ გაეშალა, ან არ დაეკეცა იალქანი, ან საჭე, როგორც საჭირო იყო ისე არ დაეჭირა, ბაბუა უხმოთ დაიძეროდა თავის ადგილიდან, დაუწყებდა სასტიკათ ცემას გაფისული თოკით და სცემდა მანამდი, სანამ არ დაუსისხლი-ანდებოდა მთელი სხეული, სანამ არ დაუსკდებოდა კანი, ეს კი ისე ხშირათ ხდებოდა, რომ ჭრილობა არასოდეს არ ურ-ჩებოდა: ძველს ახალი ემატებოდა, ყმაწვილს მზისაგან დამ-წვარი, გამხმარი სახე ჰქონდა და თვითონაც სუსტი და გამ-ხდარი იყო.

გარემო ცხოვრება, ბუნება—სულ ერთ ფეროვანი იყო; არც ერთი ახალი სანახაობა, ახალი სურათი არ არღვევდა ამ ერთ ფეროვნებას: მას შეეძლო ენახა მხოლოდ ზღვა და მისი ერთი ნაპირი, ცა და თვალუწვდენელი ტრიალი მინ-დორი. ნაპირი სრულიათ მოტვლებილი იყო: არც ერთი მცე-ნარე, არც ერთი ხე არ ასხვაფერებდა ამ მოწყენილ არე-მარეს. მაგრამ ეს ერთფეროვნება როდი იყო ანდროსათვის მომაბეზრებელი; მას ცველაფერი იტაცებდა, ცველაფერს სი-ხარულით შესცემროდა: ველზე გამალებული დაძრებოდენ სტვენით ციყვები, ჰაერში დაქროდენ შევარდნები და დინ-ჯათ დასრიალებდენ არწივნი. ზღვასთან. ახლო ისარივით და-ქროდა მყვირალი თეორი დედამთვრალას გუნდი და სწრაფათ აქრობდენ ნაპირზე გადმოყრილ თევზებს; ხანდახან კი ისე გაკადნიერდებოდენ, რომ ხელიდანაც სტაცებდენ თევზს მე-ნავეებს. გაზაფხულზე და შემოდგომაზე საშინელი უივილით და ცვირილით იისებოდა არე-მარე

მაგრამ ცველაზე უფრო მრავალ ფეროვანი ზღვა იყო ჯგუფ-ჯგუფათ დაცურავდენ სხვა და სხვა ჯიშის და გვარის თევზები. ივლისის ბოლო რიცხვებში ზღვა თითქოს „ცვაოდა“ და განათდებოდა. მკრთალ სინათლეს ჰვენდა თავის გარ-შემო მთვარის შუქზე პატარ-პატარა ტალღები, რომელნიც ხან ჩქარის, ხან დინჯის ნაბიჯით მიგორავდენ ნაპირისაკენ,

მაგრამ როცა დაეჯახებოდენ მას—უკან დაიხევდენ და შემტკიცებული ისევ უბრუნდებოდენ. ასე იყო ყოველთვის, როცა ვინმე ან რამე დაარღვევდა ზღვის მეფურ მყუდროებას. ეს ოდნავ მშეუტავი სინათლე, მყუდროება, ანდროს აგონებდა მიცვა-ლებულებს და დამხრჩვალთ, რომლებმაც ზღვის ფსკერზე პპო-ვეს მოსასვენებელი ბინა.

აგაფონი მოწყენილი და ჩუმი კაცი იყო, მაგრამ როცა ლაპარაკი ზღვისა და შიგ მცხოვრებლების შესახებ ჩამოვარ-დებოდა, დანაოჭებული შუბლი გაეხსნებოდა, ნაცრის ფერი თვალები გულკეთილ გამომეტყველებას იღებდენ და თვალებ-ზე ჩამოფარებული წარბები ამ გულკეთილობას აორკეცებდენ; მაშინ იგი მზათ იყო მთელი დღე და ღამე ესაუბრნა თვის საყვარელ საგანზე.

— ბაბუა! ამდენი თევზი საიდან ჩნდება? — ეკითხებოდა ანდრო, — იქერენ, იქერენ და მაინც აპა, რამდენია. ნიჩაბის წვერიც არ ჩატევა თავისუფლათ წყალში აქ იმდენი ბადე და ანკესებია.

— შვილო, თევზებს ღმერთი ამრავლებს! ფოტა აქვს განა სახელ დიდებულს აღიღილი? ამდენი წყალი იმიტომ გა-უწენია. რომ შიგ თევზებმა იცხოვროს და ჩვენ სარგებლობა მოგვიტანოს.

— თევზა იცის რომ მას იქერენ?

— აბა არ იცის, შვილო! თევზები, აი სწორეთ რო-გორც ჩვენ, ისე უამბობენ ერთმანეთს ყველაფერს, მაგრამ აღამიანი კი ვერ გაიგებს მათ სიტყვას, მათ ენას. მხოლოდ ვინც დაიხრჩო და იქ ძევს ზღვის ფსკერზე იმათ კი ესმის თევზების ლაპარაკი; მაგრამ თევზებს მათი როდი ეშინია, რაღან იციან, რომ არაფერ ცუდს არ უზამენ ისინი. ამი-ტომაცაა, შვილო, რომ ისე იხლო დაცურავენ დამხრჩვალ აღამიანების გვერდით.

ანდრო ფართეთ დაღებული თვალებით შეჰყურებდა ბა-ბუს. მას წარმოუდგა ბნელი ზღვის სილრმე, ზღვის ფსკერი, დალურჯებული, თვალებ დაღებული მკვდარი, რომლის გვერ-დით თევზები დაცურავენ, ყლაპავენ მარილიან წყალს და



ერთმანეთს უამბობენ სხვა და სხვა ამბებს. უამბობენ ერთმანეთს ანდროსა და ბაბუაზედაც, უამბობენ რომ ისინიც იქ, ზევით ბადეს შლიან და ნავით დაცურავენ. მას მთელ სხეულში ურუანტელმა დაურბინა. უწინ, როცა იგი ნავში იჯდა არხეინათ, ვერაფერს ვერ ხელავდა ზღვის ზედაპირის მეტს, არ იცოდა იქ რა ამბავი ხდებოდა, არ იცოდა რა მოძრაობა იყო და არც ფიქრობდა. მისთვის იქ მხოლოდ წყალი იყო და იქიდან ამოჰქონდათ ბადე შიგ მომწყვდეული თევზებით. ახლა კი დაინახა, რომ ეს უშველებელი, საშიშარი სამეფო თურმე სავსე ყოფილა ისეთივე გონივრული არსებებით, როგორიც ზევით არიან; რომელნიც თურმე ცდოლობენ განსაცდელს თავი დაახტიონ და რომელნიც ერთმანეთს ესაუბრებიან. ზევით ანათებდა მზე, ჰქონდა ქარი, ცა ღრუბლები ეკვრებოდენ და იქ კი ყოფილა ჩუმი, საიდუმლოებრივი, უცნობი ცხოვრება, რომელიც მტრობდა ანდროს და აგაფონსაც.

— მეუფემ ყველაფერი ბრძნულათ გააჩინა,— განაგრძობდა აგაფონი, — ვამბობთ მაგალითათ: ჭინარი უსიტყვით თევზია და გათავდა... მაგრამ როცა ბადეს ნაპირისაკენ გასწევენ შეთევზები, გზაზე თუ ახლო-მახლო დახვდა თევზი, შიგ მოჰყვება და ბადესთან ერთათ შეირცებიან. ვთქვათ, დიკირები ჭინარი: მას ისევ ზღვაში უნდა ნავარდი და მიიწევს იქითკენ მაგრამ როგორც კი იგრძნობს, რომ სადღაც ახლო ბადეა, გაექანება და რაც ძალი და ონე იქვს დაეტაკება მას, თუ კი ბადე ძველი გამოდგა და ბაწარი დასუსტებული, შენი მტკრია, მან ვერ გაუძლოს ჭინარს და ეს ეშმაკი თევზი ხელათ გახტება მეორე კიდით... ყველა თევზებიც მას თან გაჰყვებიან და მეთევზები მშრალზე რჩებიან. მაგრამ თუ ვერ ვახის ბადე და ნაპირამდი მიიტანეს, მაშინ ღრმათ ჩაჰყოფს თავს სილაში და სულგანაბული დაეკვრება მიწას. თუმცა ბადის ტყვია მძიმეა და ამის წყალობით ღრმათ ზის წყალში, მაგრამ ჭინარი ამას როდი დაგიდევს. ხშირათ ზურგიდან ტყვია ააცლის ტყვია, მაგრამ როცა იგრძნობს რომ გადაუარა ბადემ ის მხიარულათ შეინავარდებს და თავი უფლათ გაექანება შუაგულ ზღვისაკენ.

— მაშასადამე, ჭანარი ჭკუიანი ყოფილა?

— მერე როგორი ჭკუიანი! ღმერთი ხედავს, რომ ადამიანი უმოწყალოთ იჭერს თევზებს, იმდენს იჭერს, რომ შეიძლება გაწყდეს კიდეც, მაგრამ ღმერთმა თავის გაჩენილს ჭკუა-გონება მისცა... ადამიანიც ეშმაკი და მოხერხებულია, მაგრამ ჭანარი უფრო ეშმაკია და უფრო მოხერხებული.

ბაბუა ისევ დადუმდა, შუბლი ისევ შეიკრა, წარბები მოილუშა და ჩვეულებრივი მრისხანე გამომეტყველება მიიღო.

ორივე დაუღალავათ მუშაობდა: მათვის არც დღე იყო, არც ღამე და არც უქმე; დაჭერილ თევზებს გაყიდდენ და იმ ფულით კი ბაბუა ხელათ დათვრებოდა, სულ არაყსა და ლვინოში ხარჯავდა.

როგორც კი დაბრუნდებოდენ შინ თევზაობის შემდეგ, ბაბუა უბრძანებდა ანდროს მთელი დღე შინ ყოფილიყო, ბადე გაესწორებია, ნავი გაეფისა, ან კესები აეკინდა და სხვ. ოვითონ კი წავიდოდა იქვე ახლო სოფელში და სანამ არ დახარჯავდა თევზების გაყიდვით აღებულ ფულს, შინ არ დაბრუნდებოდა.

ანდრო, როგორც კი ბაბუა მიეფარებოდა თვალთაგან ხელათ რავს მიანებებდა უველავერს და გარბოდა სოფლის ბავშვებისაკენ, დაძვრებოდა ბოსტნებში, იჭერდა ჩიტებს, მოჰქონდა კიტრი, ნესვი, ჩხუბობდა გლეხების ბავშებთან და ყოველთვის მოინახულებდა ბების, სპირიდონის ქალს. ისიც აქმევდა ხაჭაპურებს, უამბობდა ზღაპრებს ავ სულებზე, ალზე, როკაპებზე, ზღვის გადაღმა სახელმწიფოებზე; უამბობდა დილ ქალაქებზედაც სხვა და სხვა მოთხრობებს.

— იქ სახლები უზარმაზარი და მაღალია,— ეუბნებოდა ბებია, და ხელს ალერსიანათ გადაუსვამდა თავზე ანდროს, რომელიც იქვე იჯდა მის მუხლებთან, ხარბათ ისმენდა ყოველ მის სიტყვას და თან თვალს არ აშორებდა,— იქ სულ მდიდარი ხალხი ცხოვრობს, იუვამენ სუფთათ და მდიდრულათ და მთელი წლობით არაფერს აკეთებენ.

— თევზებს არ იჭერენ?

— აბა, რას ამბობ! თევზების ჭერა კი არა ცოცხის ხელში ალებას არ კადრულობენ.



— მე, ბებო, ბაბუამ ერთხელ ქალაქში წამისცვენიოდეს ვნახე დიდი, მაღალი სახლები; ზღვის ნაპირზე დასეირნობდეს ქალები და თავი სულ ერთიანაო ფრთხებით ჰქონდათ სხვანარაო მოწყობილი. მერე ერთ ინგლისელ გემზე ვიღაც კაცს და ქალს რალაცა—ლულას მზგავსი ეჭირათ ხელში, ისინი გვიყურებდენ მე და ბაბუას.

ანდრო ცოტა ხანს უხმოთ შეექცეოდა ხაჭაპურებს.

— ბები! საიდან ჩნდებიან წყალში წყლის ტილები? ამ მაგალითათ, ნაპირზე რომ ფეხით ქვიშა მოთხარო, აუარებელი ტილები გამოცოცდებიან ხოლმე იქიდან.

— წყლიდან ჩნდება, ჩემო კარგო! ის წყლის უწმინდურებაა. აპა, კიდევ კამე ხაჭაპური.

— ბები! ბაბუამ მითხრა, ვითომ დედა ჩემი ჩვენი ქოხის ახლოს გაიყინაო. მართალია?

— მართალია, ჩემო კარგო! მოკვდა საბრალო... გაიყინა... მერე ავათ გახდა და მოკვდა... ისეთი საშინელი ქარბუქი იყო... ბნელოდა, ბნელოდა ისე საშინლათ, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდი. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს და ცხონოს. შენ მერე აგაფონმა და მისმა ცოლმა აგიყვანეს და გაგზარდეს... ღმერთმა იმათაც მიუზღოს სამაგიერო. აგაფონის მეუღლე სიკვდილამდი შვილივით გივლიდა... ეეს! საბრალო!..

— ბები, აგაფონი სულ მეჩხუბდა! ისე მწარეთ მცემს რომ... თუ კიდევ მცემა მე გავექცევი.


— შენს სასარგებლოთვე გცემს, შვილო... გაგლახავს და ისევ შეგიცოდებს, შეებრალები... ჭკუას გასწავლის... შენ კი დაუჯერე... სულ შენს სასარგებლოთაა.

ბებია იყო ერთათ ერთი იდამიანი, რომელთანაც ანდრო კარგათ გრძნობდა თავს. ბაბუა აგაფონი ყოველთვის დაგლეჯილ-დაწეწილი ბრუნდებოდა შინ და ნახავდა თუ არა მიგდებულ ბადეს, ყველაფერს ისე, როგორც დატოვა, საშინლათ სცემდა ანდროს, რომლის შედეგი ის იყო რომ, საბრალო ბავში ერთი კვირის განმავლობაში ძლივს ინძრეოდა.

შოთა.

(დასასრული იქნება)

## ମିଠିଳୀ ଦ୍ୱାରା ଚରିତ୍ରିଲୋକମିଶି \* )




ଜୀବନକୁ ମୁଖ୍ୟମିନ୍ଦା ମହିଳାଙ୍କ ଦ୍ୱାରାମଧ୍ୟ.

\* ) „ଜୀବନକୁ“-ର ବାନ୍ଦରିଙ୍କ ବାନ୍ଦରିଙ୍କ ମିଶି ଯୁଗେ ଯୁଗ ଅନ୍ତରିଲୀକି ମିଠିଳୀ ଦ୍ୱାରା ଚରିତ୍ରିଲୋକମିଶି.



ქალაქ မျှော်စောင်းမြို့ ရောက်ဖျော်လှေ ပါတီလွှာပို့。

## მიწის ძვრა იტალიში.



უზარმაზარი სახლი მესსინაში, საღაც ყველაზე მეტი ხალხი დაიღუპა.



პატარა უბანი შესსინაში, რომელიც სულ ერთიანად დაინგრა და მცხოვრები ქვეშ მოიყოლა.



## ବିଜ୍ଞାନ

(ବିଜ୍ଞାନଶୈଳିମଧ୍ୟ)



ଯେ ଓ ପୁଣ ହାତୀଦା. ଦାଯାପ୍ରେଦି ହେଉଲେବରିଗାତ ସାଲା. ମର୍ମି ଲାଗୁପାଶ ପୁଣିନ୍ଦାଦେଇବ. ଏଥି ଗୁଲ୍ଫ-ଶେମାଚୁକ୍ରେବେଲୀ ପୁଣିନ୍ଦା ଓସ ଗାଢିନ୍ଦାର୍ଥେ, କାପି ଏଗନ୍ଦବନ୍ଦା, ତାତିଖ୍ରୀ ଏବଂ ଜୁନଦାତ ଧାରିଲା ମର୍ମିଲାନ୍ଦା. ଫୁଲ୍କର୍କ୍ରେଦି କ୍ଷାମି ଶେଦିନ୍ଦା, ଦାବଶେବି ତିରିପଦେଇ, ରାଧଗାନ ବାଦର୍କ୍ରେବନ୍ଦାତ ଦାନିନ୍ଦା. ପ୍ରାଚୀଲ୍ଲେବି ଫୁଲ୍ଲିଲ୍ଲେବି ଶେକ୍ଷିମନ୍ଦାତ ଦା ମର୍ମିକ୍ଷିନିଲାତ ତାପ୍ରେଦି ଦିର୍ବୀ ହାତୀଦାର୍ଥାତ, ଫରିନିକ୍ଷେଲ୍ଲେବି ନିକ୍ଷାରତି ଫରିତ୍ତେବି ଅମ୍ବିଲେବି ମାଲାଲ, ନାରୀକି ଦାଲାବିଶ ହାତୀଲିଲିପାଲ ଦା ମିଳିପ୍ରେମିଲା ଗାନ୍ଦିଶ୍ଵର୍ବେଦାଶ.

ଏହି-ମାର୍ଗ ତାନ-ଦା-ତାନ ଫ୍ରିନ୍ଦାରିଲ୍ଲେବନ୍ଦା. ଲାମ୍ବେତ୍ର ମର୍ମିକାରିବନ୍ଦା. ମର୍ମିଲାଦ ମର୍ମିଲାଲା ଦା ଗ୍ରେମିଲା ସାକ୍ଷିମି-ଲା ଶେକ୍ଷିତାବିଲା ସିନାତଲ୍ଲେ, ଗଲ୍ଲେବେଦିଲା କାର-ମିଳାମନିଶି-କି ସିଦନ୍ଦିଲ୍ଲେ ଶୁଭେବିଲା. ଗଲ୍ଲେବେଦି ହାତୀଲିଲିପାଲିତ ଏହିର୍ବେ ଲାଗେବିନାନ ଦା ଏହିର୍ବେ ନିନିବେନ.

ପ୍ରା ନେଲା-ନେଲା ପାର୍କିକ୍ଷାଲାବେଦିତ ନିକ୍ଷିଲ୍ଲେବନ୍ଦା ଦା ମର୍ମିକାରିବ ତାନ-ଦା-ତାନ ମାଲାଲା ନିକ୍ଷିଲ୍ଲେବି. ଲୋକ୍ଷେଲିମି ଫରିତ-ଗାମନିଶିବିତ ଦାଲା ପ୍ରାଚୀଲ୍ଲେ ପାର୍କିକ୍ଷାଲା ଦା ମର୍ମିଲାଦ, ଏତୁମାଦା ଅମାଲ ସିନିମାରିଶି ରାଧାପା ପାର୍କିକ୍ଷାଲା ଦା ମର୍ମିଲାଦ, ତାତିର୍କିମି ପାର୍କିକ୍ଷାଲା.

— ଏହିଲେ ଏହି ପିନିମା? — ପିନିମା ନିଲମା. ମାଗରାମ କାଲୁକ୍କିଲା ମିଳିପାଇଲା ଏହିନି ଏହିନି ପାର୍କିକ୍ଷାଲା ଦା ମର୍ମିଲାଦ.

ନିଲମା ତାପ୍ରେଦି ନାଟେଲ ଦା ଶୁଦ୍ଧିକ ଶ୍ଵେତ୍ରେବିତ ହାମର୍ଗିଶା, ନିଲମା ମିଳାମନ୍ଦିବିତ ନାଟ ମାଲାଲା ଦା ନାଟ ଦାବିଲା ନିକ୍ଷିଲ୍ଲେ.

## ნიხლი.

ჩამოწვებოდა. ცოტა ხანი-კი დაწყნარდა, მაგრამ მერე ისევ იწყო თავისებური შოძრაობა. ხან ტბას გადაეკრა, ხან ტყეს და გულ-უხვად აღმობდა მის შტო-ფოთლებს. ვისაც-კი ეს-ტუმრებოდა, ყველას ბურუსით მოიცავდა ხოლმე.

— ვინა ხარ, ძმობილო? — ჰკითხა ლოლოცოფამ, \*) რომელიც იქვე ოშეივარს უშვებდა.

ნისლმა არ მისცა პასუხი და განავრძო თავისი ცელქობა.

— მე გეუბნები, მითხარი: ვინა ხარ შენ? — ხელმეორეთ ჰკითხა ლოლოცოფამ, — და რადგან არ მიპასუხებ, ამირრიდან ზეცოდინება, რომ შენ ძალიან უზრდელი არსება ხარ.

— მე შენ ისეთ ბურუს შემოგახვევ, რომ სულ კანკალი დაჭარებინოს, — მიაძახა პასუხად ნისლმა.

მან თავისი მუქარა სისრულეში მოიყვანა და ლოლოცოფას ისეთ სიმძიმით ჩააწეა, რომ შისი ფოთლები ნესტით მოლად დაალაპლაპა.

— ვაი, ვაი, — საცოდავის ხმით იძახდა ლოლოცოფა, — მომაცალე, მეგობარი, შენი მძლავრი თითები; მე ისე ვგრძნობ, თითქოს წყალში ამოულალლაღებივარ. შენ მართლა კი არ უნდა განრისხებულიყავი ჩემ შეკითხვაზე, ვინა ხარ მეთქი.

ნისლმა ისევ ზევით აიწია.

— მე ვინა ვარ? — ჰკითხა მან, — თუნდა გიოხრა კიდეც, სულ ერთია, შენ მაინც ვერას გაიგებ, ვინა ვარ მე.

— აბა სცადე, იქნება გავიგო.

— მე მეძახიან ყვავილის ნამს, ცის ლრუბელს და მინდვრის ნისლს.

— როგორ? — გაკვირვებით შესძახა ლოლოცოფამ, — თუ შეიძლება, მეორეთ გაიმეორე შენი ნათქვამი, ნამს მე კარგად ვიცნობ: ის ყოველ დილით ჩემ ფოთლებზეა, მაგრამ შენ რომ იმს არ გვეხარ.

— დიახ, მე ნამიცა ვარ, — სთქვა ნალვლიანად ლრუბელ-შა, — სწორედ იმიტომ არავინ მიცნობს, რომ მე ჩემ სიცოცხლეში ბევრ ცვლილებას განვიცლი. მე ხან ნამათ მოვევლინები ხოლმე დედა-მიწას, ხან წვიმათ, ხან-და-ხან ტყეში ცივ

\*) ლოლოცოდა პტყელ ფოთოლა მცენარეა, რომელიც წყლის პირას იზრდება.



კამპამა წყაროებად მოვლივლივებ ხოლმე. როცა სალამ-სალა-მოლბით მინდვრათ ვიმყოფები, ხალხი ამბობს, რომ ნისლმა მაღლა აიწია.

— საოცარი ამბავია, — სოქვა ღოლოცოფამ, — თუ ღმერ-თი გწამს, მაგის შესახებ კიდევ მიამბე რამე. ღამე დიდია და სხვა არა იყოს რა ცოტათი თავს მაინც შევიყოლიებ.

— სწორეთ, რომ ეს ძალიან სამწუხარო ამბავია, — უპასუხა ნისლმა, — მაგრამ მე შემიძლიან მაინც გიამბო.

ამ სიტყვებთან ერთად იწყო მან ჩამოწოლა, მაგრამ ღოლოცოფა გაპქანდა და ნისლიდან გაინთავისუფლა ფოთლები.

— თუ შეიძლება, ცოტა მოშორებით იყავი ჩემგან, — უთხრა ღოლოცოფამ, — იმ დრომდის მაინც, სანამ წესიერად გამეცნობოდე. მე ჩვეულებად არ მაქვს ვისმეს დაუმეგობრდე, სანამ კარგათ არ გავიცნობ.

ნისლიც ცოტა მოშორებით ჩაიკრიბა და ასე დაიწყო:

— მე ძირს, დედა-მიწის გულში ვარ დაბადებული, გა-ცილებით უფრო ღრმათ, ვიდრე შენი ფეხებია. დიდხანს დაფარულათ ვიმყოფებოდი, შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს მზის სხივებმა გორაკის ფერდოებში აგვიტაცეს დამერწმუნე, ჩემთვის დიდი სიამოვნება იყო, როცა ტყეში დავიარებოდი; მშვენივრად გადავდ-გაღმოვდიოდი ქვებზე და მივეჩარებოდი ერთი ნაპირიდან მეორისაკენ. ამ დროს მესმოდა მშვენიერი პატარა თევზების ფორთხიალი. დახრილი ხის მწვანე შტოები მშვენივრად მოჩანდენ წყაროს სპეტაკ სარკეში. დიახ, სასია-მოვნო, ბედნიერი დრო იყო ეს ჩემ სიცოცხლეში!

— მე შემიძლიან კიდევ მოვესწრო შენ ხელმეორედ ნი-სლად გადაქცევას? — ჰკითხავდა მოუთმენლად ღოლოცოფა, — წყაროსაც კი ვიცნობ, როცა სრული სიჩუმეა, მე აქ მესმის მშვენიერი ჩანჩქარი.

ნისლმა ცოტათი აიწია და დაიწყო მინდვრად ცელქობა-ცეკვაობა, მერე უკანვე მოუბრუნდა ღოლოცოფას და განა-გრძო თავისი ამბავი:

— მთელი ამ ქვეყნის უბედურება იმაში მდგომარეობს, ამ ჩვენ არა ვართ კმაყოფილები იმით, როცა გვაქვს. მაგა-

ლითად, ჩვენ მივდივართ სულ ქვევით და ბოლოს ჩავდივად უკრაინის ერთ უშველებელ ზღვაში, საცა წყლის ზედა პირზე ქანაობს ზღვის ვარდი და იქვე მახლობლად საამური ლერწამი. ზღვა სატკესავით იყო, ჩვენ-კი, გვსურდა თუ არა, უფრო დაბლა უნდა ჩავსულიყავით. იქ საშინელი სიბნელე და წყვდიადი იყო. არ შემეძლო ხანგრძლივად გავჩერებულიყავ, გული მწყდებოდა და მენატრებოდა მზის სინათლე; მაგრამ მაღლ ისევ ანკარა წყაროში ამოვყავ თავი და ჩვეულებრივად ვჩან-ჩქარებდი. აქ, ზევიდან დამაცეკერდენ ხის ხავერდივით მწვანე ფოთლები და ეშჩით მეთამაშებოდენ. მე მინდოდა ისევ მზის-თვის პირს-პირ მეყურებინა და ავცურდი ზევით. მაგრამ ვა უბედურებას! ცხარე მზის სხივებმა ისე ამიწვა ზურგი, რომ სულ თავ-ბედს ვიწყევლიდი, ვნანობდი, ნეტა რისთვის ამო-ვედი და ზღვის ძირში არ დავრჩი მეთქი.

— რასაც შენ ამბობ, ეგ სრულებითაც საყურადღებო არ არი ჩემთვის,—მრისხანედ შენიშნა პამილორმა,—შენ ერთი ქს მითხარი, მაღლ თუ მოინისლებთ.

— მზათა ვარ,—სთქვა ნისლმა და კიდეც გადაეფარა მისს ფოთლებს. გაშინ ყველამ იგრძნეს და გაარჩის ვინც იყო ეს მოლაპარაკე.

— ვაი, ვაი! — შეჰქივლა ღოლოცოფამ,— ჩემო გულითა-დო მეგობარო, თუ შეიძლება, ცოტა შორს დადექი და იქი-დან გაავრძელე შენი თავ-გადასავალი.

— ერთხელ, საღამოთი, როცა მზე ჩესვენა,—განაგრძო ნისლმა,—ისე სუბუქად ვვრძნობდი თაგს, რომ არ ვიცი რათ მინდოდა ზღვას მოვშორებულიყავ და მოვშორდი კი! უცბად • საღამოს ნიავმა დამბერა და ამიტანა მაღლა ზეცისაკენ. იქ მრავალი ჩემისთანები დამიხვდენ და ჩემსავით განციფრე-ბულნი დაჰყურებდენ დედა-მიწას. ჩვენ ღრუბლებად გადავი-ქეცით, გეშმის შენ?

— ეს ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერია,—გაიფიქრა ღოლოცოფამ.

— ყოველივე ეს ქეშმარიტება,—უპასუხა ნისლმა,— შომისმინე ერთი. შემდეგ დაგვიქროლა ქარმა და აგვისროლ



ჰაერში უშველებელ მანძილზე. ბოლოს ქარმა დატერზა და მიგვანება თავი. ამის შემდეგ შხაპუნა წვიმათ გადავიქეცით და ჩამოვცვილით მიწაზე. ყვავილები სწრაფ მოიკუმშენ, ფრინველები გაეშურენ ბუდისაკენ, მხოლოდ ბატები, იხვები მხიარულობდენ, წვიმის წყალში ჭყუმბალაობდენ. პო, გლეხსაც ძალიან უხაროდა, რადგან მისი ძირის მოსავალიც ძალიან საჭიროებდა წვიმას, მას ოდნათაც არ აწუხებდა დასველება. სხვაფრივ კი უნდა გაგიტყდეთ, რომ დიდი აღიაქოთ ვამოვიწვიეთ.

— მაშ, ასე, შენ ბოლოს წვიმათ გადაიქეც, — უთხალოლოლოცუფამ, — ნუ თუ მაგდენი საქმე გაქვს?

— დიახ, მე სრულიად მოსვენება არა მაქვს, — სთქვანისლმა.

— მაინც ჯერ ვერ გავიგე, როგორ იქცე ნისლად, — სთქვალოლოცუფამ, — მხოლოდ შენ კი ნუ გამიწყრები, ნუ გაწიწმატდები, ხომ შენ თვითონ შემპირდი, რომ ყოველი ფერს დაწვრილებით გიამბობო. მე მინდა ეგ მთელი შენი ამბავი ხელმეორედ მოვისმინო.

ნისლი ერთ წამს ჩაფიქრდა, მერე ისევ განაგრძო:

— წვიმათ როცა ჩამოვცვილით, ისევ გაუჯეჭ შავ მიწას. დიდად მოხარული ვიყავ, რადგან ხელ-ახლად დაუბრუნდი ჩემ მშობელ მიწას. იქ მე უფრო მოსვენებით ვიყავი და არც ბევრი სადარდებელი მქონდა. ჩავეშვი მიწაში თუ არა, იმწამსვე გამომწოვეს ხის ჯირკვებმა და იძულებული ვიყავ მთელი დღე მის ფოთლებ-შტოებში მდევირნა. უჩემდ სიცოცხლე არც ერთ მცენარეს არ შეუძლიან, მე ვასაზრდოებ იმათ. მხოლოდ საღარის ველირსე ზიდან განთავისუფლებას. როცა მზე ჩავიდა, მის ფოთლებ-ყვავილებმა ორთქლად გამოგვიშვეს და ჩვენ როგორც სუბუქი ნისლი გაფურინდით ჰაერში. საღამოთი ჩვეულებრივ ჩვენ მინდვრათ დავიარებით, დილით, როცა მზე ამოდის, ბრჭყვიალა ნამათ ვიქცევით და სასიამოვნოთ ვზივართ შენს ფოთლებზე. შენ გაინძრევი, ჩვენ ჩამოვცვივდებით ხოლმე და მაშინვე მივდივართ დედა-მიწის გულისაკენ, ვიდრე რომელსამე წყაროს არ შევხვდე.



## ნისლი.

ბით, შეაროს საშუალებით ჩავდივართ ზღვაში, ზღვიდან პა-  
კიში, ჰაერიდან ისევ მიწაში და ასე დაუბოლოვებლად.

გაათავა ნისლმა თავისი ამბავი თუ არა, ბაყაყმა იწყო  
ხტომა, ჩავიდა იქვე გუბეში დილის აბანოს მისალებათ. ფრინ-  
ველებმა მორთეს ტყეში ჭიკჭიკი, მშველიც ხეებს შორის  
ბლაოდა.

სწორედ ამ დროს მზემაც ამოაშუქა, გაანათა გორაკის  
ფერდოები და სწრაფ გააბნია ნისლი ცის კამარაში. ამავე  
წუთს მზის პირველი სხივი ღოლოცოფას დაეცა.

— დასწეუვლოს ღმერთმა! მზე უკვე ამოსულა. მე ისევ  
უნდა შევიკუმშო, თორემ მზე დამაკუნობს. სად არის ახლა  
ნისლი? როგორ გაქრა დედა-მიწიდან?

— მე აქა ვარ,—უთხრა ნამმა, რომელიც მის ფოთლის  
წვერზე ეკიდა.

ღოლოცოფა საშინელის სიძლიერით შეინძრა და გაი-  
ყრევინა ნამი.

მზე-კი დაჰყურებდა ნამს და ბროლივით აბრკვიალებდა.  
თამრო ნაცვლიშვილი.



## „პიგუნ-დეიზინ“

აშბაძი იაპონელი ბავშვისა, რომელმაც მოინდომა პირველი ფაჭარა  
გამხდარი იაპონიაში.

მოთხრობა ჯენზეი მურაისა.

### VII. ტღგის მოჩგნება.



აპიტანი კიშილაიუ წავიდა მეზღვაურების საშოვ-  
ნელათ, შეაგროვა როგორც იყო ექვსამდის კაცი,  
დაპირი ერთი ათათ მეტს ჯამაგირის მიცემას და  
მის შემდეგ წავიდა ბუნკიისთან და შეატყობინა  
ყველა ეს ამბავი.

— მაშ, ახლა ყველაფერი მზათა გვაქს, ხვალ დილით  
გაუდგეთ გზას; ეხლავე 10 გრძელ შტანგოუტს\*) გამოვგზავ-  
ნი. ოქვენ ესენი გარდი-გარდმო, ჯვარედინათ დაწყეთ გემ-  
ზედ და მის ბოლოებზედ მოაბით დიდი ქვები, რომ გემი  
ადვილათ არ გადაგვიბრუნდეს,— ამბობდა ბუნკიჩი ჩვეულებ-  
რივი გამზედაობით და გამჭრიახეთ.— მე ამას იმისთვის გეუბ-  
ნებით, რადგანაც გაგონილი მაქვს, რომ ამგვარათ დამზადე-  
ბული გემები, შორეულ მოგზაურობაში, რაც უნდა ცუდი  
ამინდი იყვეს, ძალიანა სძლებენ და ზღვის ზეირთების მსხვერ-  
პლათ არ გახდებიან ხოლმე. იედოში ამ საკუნძულო გემებს  
„ზღვის ბელურებს“ ეძახიან.

ბუნკიჩის ამისთანა გამჭრიახობით გაკვირვებულმა კიში-  
ლაიუმ სთქა:

— მართალი ბრძანებაა ოქვენი ნაამბობი, სწორეთ ეხლა  
შაგონდება, რომ ასე მორთულ გემებს დიდი მნიშვნელობა  
აქვს მოგზაურობაში, ამგვარათ მომზადებული გემები მე თვი-  
თონ მინახავს იზოს პროვინციისაკენ მიმგზავრებული. ამისთა-

\*) დიდი ხე, კოჭა.



ნა გემებს ზღვის ტალღები და ქარი სრულიათ ვერაფერს დააკლებს.

— ეხლა, ბატონი კიშიდაიუ,— სთქვა ბუნკიჩიმ,— საქმე ას უნდა მოაგვაროთ: ამ გემს ხომ „ტენჯინ-მარუ“ ჰქვიან. მაგრამ, რადგანაც ამისთანა საძაგელ ამინდში შევდივართ ზღვაში და შესაძლოა იგი მითშვინიტ-მოოფშვინიტოს ზღვის ტალღამ, ამისთვის საჭიროთა გემს სახელი გამოუცვალოთ და უწოდოთ „იურეი-მარუ“ ანუ გემი-მოჩვენება. ჩვენც შავიძოსნეთ თეთრ ტანისამოსში და თავები მკვდრებათ წარმოვიდგინოთ. ამ მდგომარეობაში რაც უნდა შეგვემთხვას, გემის მხლებლებს ვერაფერი შეაშინებს, რადგანაც „მკვდარ“ ადამიანს არ შეუძლიან იგრძნოს შიში სიკვდილისა...

კაპიტანი დასთანხმდა ამაზედ და სთქვა:

— ეს კარგი აზრია!

კაბუკის ამგვარ მამაცობით გამხნევებული კაპიტანი დაბრუნდა შინ და გადასცა მეზღვაურებს ეს სიტყვები. ესენიც სიამოენებით მიეგებნენ ამ განკარგულებას და მზათ იყვნენ ამ კაბუკის გულისათვის ყველა ხიფათს და მოულოდნელ შემთხვევას გამკლავებოდნენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის.

ბუნკიჩიმ მაშინვე დაავალა მხატვარს იალქანზე წაეწერა ჩინურათ, მსხვილი ასოებით: „იურეი-მარუ“ და დაიკოკუის ჭავაჭრო სახლს შეუკვეთა თეთრი ტანისამოსი.

— ბუნკიჩი! — უთხრა ვაჭარმა, — ნერა რა საჭიროა თქვენ-თვის ამდენი თეთრი ტანისამოსი? რა აზრი აქვს ამის ჩაცမას?

ბუნკიჩიმ სიცილი ვერ შეიკავა და ას უპასუხა:

— ჩვენ ყველანი ერთათ შეიძლება ამ აზვირთებულმა ზღვამ ჩაგვითქას; ძალიან ეჭვი მაქვს, რომ ეს ას არ მოხდეს და ისე არა სჯობია, წინათვე ყველამ მკვდრებათ წარმოვიდგინოთ თავი. ჩვენს გემს „იურეი-მარუ“ დავარქვი. შევიმოსებით თეთრი ტანისამოსით, მოვიბამთ ყელზედ ცუდაბუკურს \*) და სამ კუთხეთ გამოჭრილ ქაღალდს შუბლზე მივიმგრებთ, როგორც მკვდრებს უშვრებიან ხოლმე.

\*) დიდი ჭისა, რომელსაც იაპონიაში გარდაცვალებულს, დამარ-ხის დროს, ყელზედ მოაბამენ ხოლმე.



— რა საშინელებას სჩადიხართ! — წამოიძახა გაჭრის მეულემ, რაღაც საიდუმლო გრძნობით გატაცებულმა.

ქალიშვილმა ჩოჩომაც წამოიძახა:

— მომეცით და მე შეგიკერავთ მაგ თეთრ ტანისამოსს.

— გულითა გმადლობთ, — მიუგო ჭაბუკმა, — მისი შეკერვა უკვე სხვას შეუკვეთე.

— გემუდარებით, მომეცით რომ შევკერო, — სთქვა ქალიშვილმა, — ეს იქნება უკანასკნელი...

ბუნკიჩის ამის შემდეგ უარის თქმა ვეღარ შეეძლო დასთანხმდა.

ვაჭარმა ამ ხანობაში წამსვლელებს დიდი ლხინი გადუხადა. მაგიდაზედ ნაირ-ნაირათ ტკბილეულობა დაულაგა, მოიტანა საკიც და ასე მიმართა სტუმრებს:

— თქვენ ხვალ მიღიხართ აქედან, გილოცავთ გზასა, გისურვებთ მშვიდობიანათ იედოში მისულას და თქვენი სურვილის აღსრულებას.

დადგა წასვლის დღეც. დიღა აღრიანათ ბუნკიჩი გამოეშვიდობა დაიკოკუის სავაჭრო სახლის მოსამსახურეებს, ჩაიცვა ქალიშვილი ჩოჩოს მიერ შეკერილი თეთრი ტანისამოსი და გასწია ზღვისაკენ. ვაჭარი, მისი ცოლი და ქალიშვილიც გაეშურენ იქითკენ, რომ თავისი თვალით ენახათ, თუ როგორ შევიდოდენ იგინი ზღვაში. იქაურმა მცხოვრებლებმა გაიგეს თუ არა ბუნკიჩის მოგზაურობის წადილი, დიდი, თუ პატარა, ღარიბი, თუ მდიდარი ყველა იქითკენ მიეშურებოდა. ყველის უნდობდა ბუნკიჩისათვის გზა მშვიდობისა ეთქვა და მაღლობა გადაეხადნა ამ გამბედაობისათვის.

ბუნკიჩი გამოეთხოვა ყველას, ჩაჯდა ნავში და სწრაფათ „იურეი-მარუს“ ერდოზე ავიდა. ნაპირზე მდგომნი კიდევ ერთხელ შეეცადნენ მათ უკანვე დაბრუნებას, მაგრამ ვერაფერი გააწყეს. ბუნკიჩიმ ნიშანი მისცა — ღუზა აემართნათ, აფრა გაეშალათ და აემოძრავებინათ გემი. გემიც დაიძრა. ნაპირიდან ხალხი ხელებს უქნევდა მეზღვაურებს. დასავლეთის მკაცრმა ქარმა დაჭკრა გემს და უზარმაზარმა ტალღებმა მოაშორეს იგი ნაპირს კარგა დიდ შანძილზედ.

## კიბუნ-დეიჭინ

თუმცა „იურეი-მარუს“ აფრები მის სიგრძის შვიდს მეტრედს უდრიდა, მაგრამ იგი ქარის მეოხებით ისარივით მიჰქოდა აღმოსავლეთისაკენ. საშინელი სისწრაფით გაიარა კუმან. ს ზღვა და იეზეს ზღვაში შევიდა. სალამო იქნებოდა, როდესაც იგი ცნობილ იენშიუ-ნადას მიუახლოვდა, ქარმა იმატა და წვიმა ნიაღვარივით ასხამდა. მთის ოდენა ტალღები მიღი-მოდიოდა შორე კყეანედან და გემს, როგორც ნაფოტს ისე ათამაშებდა; მეზღვაურები ამასა გრძნობდნენ, თითქო სულ ძირსა და ძირს მიღიოდნენ, ზღვის უფსკრულში. ამისთანა ზღვის სანახაობით იგინი სასოწარკვეთილებამ შეიპყრა. წინეთ რომ იმედიანათ მუშაობდნენ, გულიანათ, უშიშრათ, ახლა კი ამათ ყოველივე გონი გამოელიათ და გულხელ დაკრეფილები იდგნენ ერთს ადგილას. კაპიტან კიშიდაის კი გული არ გასტეხოდა: იგი კვლავინდებულათ ფაულურობდა, მიღი-მოდიოდა, მეზღვაურებს ამხნევებდა. ბუნკიჩი, ვანიზამ-კოზო, სრულებით არაფრათ აგდებდა ზღვის ამისთანა მდგომარეობას და თავისი მაგალითით სხვებსაც სულს უჯგამდა.

— ვაშა! აბა ევრე. ხვალ იედოს მივახწევთ. აბა, ყოჩალ! ვამხნევდით, მუშაობას მოჰკიდეთ ხელი და დაპირებულზედ უფრო მეტ ვასმრჯელოს მიიღებთ!

ამის შემდეგ მეზღვაურებს ფული დაურიგა ბუნკიჩიმ და ესენიც უკანასკნელ ძალას იკრეფავდნენ და თავ-განწირვით მუშაობდნენ.

ამასობაში ჩამოლამდა კიდევ. ქარმა იმატა; ზღვა და ქარის გრიალი შეერთდა, თითქო პირობა მიუციათ ერთმანეთისათვის, რომ მიწაცა და ცაც ჩანთქან თავისი ძლიერებითაო.

მეზღვაურებს თანდათან მხნეობა. ელეოდათ და ერთი მაოგანი კიდევაც გაიძახოდა:

— აი, სწორეთ ამისთანა ღამეში შეიძლება ვანიზამის მსვავესი რაიმე არსება გაჩნდეს ამ აზვირთებულ ზღვაშიო! ამაზედ მეორე უბასუხებდა: — მეც როგორდაც გული მეთანალრდება და ძარღვების სისუსტესა ვვრძნობო.

— აბა, ყოჩალათ, ჩემო ძმებო, ცოტა მოთმინება კიდევ,  
— გაიძიახოდა ბუნკიჩი და ურიგებდა კიდევ ფულს.

— ოქვენ ვანიზამის გეშინიანთ არა? მე კი ამასა ვფიქ-  
რობ, რომ ვანიზამს უფრო ჩემი უნდა ეშინოდეს, რაღანაც  
მე ვანიზამ-კოზო ვარ. გამხნევდით, ნუ ხართ შშიშრები, ვა-  
რწმუნებთ, რომ აქ არაფერი საშიში არა არის რა.

მეზღვაურები ცოტა კიდევ გამხნევდნენ და წამოიძახეს:

— ოქვენ მართალსა ბრძანებთ... ოქვენ ხომ ვანიზამი  
მოკალით და ჩვენც არაფრისა უნდა გვეშინოდეს. გარწმუნებთ  
კიდეც, რომ ჩვენ ეხლა არაფრისა გვეშინიან.

მაგრამ ამისთანა მხნეობა ბევრხანს არ გაგრძელებულა.  
როდესაც ამათ გადაპეტედეს ბობოქარ ზლვას, ისევ ისე საგო-  
ნებელში ჩავარდნენ და გაიძახოდნენ:

— რაღა უნდა ვქნათ, რომ აქ უმო-ბოზუ \*) გაჩნდესო;  
ხომ ყველანი ლაპარაკობენ, რომ ეს ბუმბერაზი სწორეთ ამ  
ოკეანეში ცხოვრობსო.

ბუნკიჩიმ გულ-ნატკენათ ჩაიცინა და გადაპეტედა შათ,  
მერე აიღო ხანჯალი და უთხრა:

— რაც უნდა არსება გაჩნდეს აქ, აი ამ ხანჯლით სულ  
ლუკმა-ლუკმა ვაქცევ.

ამ დროს მოდარაჯემ უეცრივ დაიძახა:

— ვაიმე, ვაიმე! ზლვის დევი მოდის ჩვენკენ! — გამოიქცა  
და ამხანაგებთან ერთათ თავზარ-დაცუმულები ჩაცვივდენ გვ-  
მის საწოლ ოთახებში და იქ კუნჭულებში თავს აფარაბდენ.

ბუნკიჩი გემის ცხვირთან იდგა და სიბნელით მოცულ  
არე-მარეს უცქეროდა. მართლაცა და სწორეთ გემის წინ  
აიმართა ერთი რაღაც უზარმაზარი, შავი მოჩვენება, სიმაღ-  
ლით ათ ფუტიანი. ბუნკიჩიმ ამოიძრო ხანჯალი და მივარდა  
მოჩვენებას. როდესაც თავისი მჭრელი ხანჯალი მოუქნია ამ  
მოჩვენებას, მერე სიცილი ვეღარ შეიკავა და ასე სიცილით  
მივიდა კიშიდაიუსთან, რომელიც ანძასთან იდგა.

— ეგ რა იყო? — ჰკიოთხა კიშიდაიუმ ბუნკიჩიხა. ამანაც  
ლიმილით უპასუხა:

\*) ხალხის წარმოდგენით ზლვის დევია.

— ეს თავისი მრგვალიანი თავით ძალიან მიაგავდა ზღვის დევსა, ნამდვილათ კი ეს სქელი ნისლია და სხვა ორაფერი. და აი სწორეთ ეს ნისლი ჩვენს მეზღვაურებს „ზღვის დევათ“ მოეჩვენათ და აღარ იცოდნენ შიშით რა ექნათ.

ბუნკიჩის მხნეობით გაკვირვებულმა კიშიდაიუმა სთქვა:

— მე რომ ეხლა გხედავთ თუ თქვენ რა მამაცობითა ხართ გამსჭვალული, როგორა მიკვირს, რომ თქვენ ვანიზამი მოჰყალით და თქვენ წინაშე თავს ვიხრი. მართალი გითხრათ, ამ მოჩვენებამ მეც შიში მაწვია, მაგრამ თავს ვიმაგრებდი, რომ თქვენი დასაცინარი არ გავმხდარვიყავი.

როდესაც მეზღვაურები შიშისაგან გარეთ ვეღარ გამოდიოდნენ, კიშიდაიუმ დაუყვირა:

— აბა, ჩქარა, ამოდით ზევით; ჩვენმა ჭაბუკმა ის „დევიც“ გამოასალმა წუთისოფელს. ამოდით, ამოდით ჩქარა და ნახეთ!

გაიგონეს რა მეზღვაურებმა ეს ამბავი, ყველანი ზევით ამოცვიდნენ და ერთი ხმით დაიძახეს:

— მართლაც ამდენიმე წუთის წინ ჩვენ რაღაც გასაგმინავი ხმაურობა შემოგვესმა! ამ სიტყვებზედ კიშიდაიუმ წიბუტბუტა:

— აი თქვე, სულელებო, თქვენა!

ამასობაში ამათ იებშიუს ზღვა გაიარეს და დილა აჯრიანათ იედოს ყურეში შევიდნენ. ზღვამ ღელვას უკლო.

— ჩვენ ეხლა სამშვიდობოში ვართ, ჩვენო უფროსო! ჩვენ ეხლა შეგვიძლიან თავისუფლათ ამოვისუნთქოთ! — სთქვა ერთმა მოსამსახურეთაგანმა. — აგერ ხაბედას კონცხაც კი მოხანს. იმის გადასწროვ შინაგავას ყურე იწყობა. ჩვენ რომ ასე ჩქარა ვიაროთ, გათენებისას იედოში ვიქნებით: ეხლა კი ჩემს თავს სამშვიდობოში ვგრძნობ. გუშინ კი შიშისაგან გული საგულეში არ ეტეოდა. იენშიუ-ნადასთან ზღვაში რომ უმი-ბოზუ დავინახე, ასე მეგონა ცოცხალსვე გადამყლაპაფს მეტქი.

ამ დროს ბუნკიჩიმ ერთი გულიანათ გადიხარხარა და უთხრა:



— თქვენ თვითონაც არ გესმით, რასაც ლაპარაკობთ.  
ჩვენ ხომ თეთო ტანისმოსში გამოვეწყეთ და ჩვენი თავი  
ზედორებათ წარმოვიდგინეთ და განა მკვდრის გაცულხლება  
ვაუგონია ვისმე? ამ სიტყვებზედ ყველას გულიანათ გაეცინა.  
ამის შემდეგ კაპიტანმა კიშიდაიუმ ამ სიტყვებით მიმარ-  
თა პუნკიჩის:

— ჩვენო პატრონო და უფროსო, აი ამასა ჰქვიან სწო-  
რეთ მოგზაურობა! რაღაც სამ დღეში იმდენი მანძილი გავიარეთ,  
რასაც ჩვეულებრივ ათი დღე მოუნდებოდით. ჩვენ რომ ასე  
უხითათოთ მივახწიეთ მიზანს ეს იმის ბრალია, რომ თქვენ  
ხეები გემზედ ჯვარედინათ დააწყებინეთ. თუ არ ეს ჰქვიანუ-  
რი მოსაზრება — ჩვენ დალუპულები ვიქნებოდით.

მერე მიუბრუნდა მეზღვაურებს და უთხრა:

— რას იტყვით თქვენ? განა ბადალი ვინმე ჰყავს ამ ჭა-  
პუკს მოსაზრება-მამაცობაში?

— ამის ბადალი არსად არის, — უბასუხა ყველაშ ერთათ.  
— მაგან მოკლა წინეთ ვანიზამი და ახლა უმი-ბოზუ და ვინემ  
ჩვენ მაგასთანა ვართ, საშიში არა მოგველის-რა. ვედრებითა  
ვთხოვთ, მოგვეცით ნება შემდეგშიაც ვიმყოფებოდეთ თქვენი  
შფარველობის ქვეშ.

ბუნკიჩიმ უბასუხა:

— მე მეშინიან, რომ კიდევ არ შეგაშინოთ უმი-ბოზუმ!

ამით პასუხი ვერა მისცეს რა და მხოლოთ თავი მოი-  
ფხანეს.

ქარი მაინცა და მაინც კიდევა ქროდა, მაგრამ გამოვლი-  
ლი ამბების შედარებით ზღვა ყველას დაწყნარებულათ ეჩვე-  
ნებოდა; გათენებისას „ოურეი-მარუ“ მიცურდა იედოსთან.

ამ დროს აუარებელი ხალხი მოსულიყო ზღვის ნაპირას  
და კიშიდაუდან ელოდა ფორთოხალით დატვირთულ გემებს.  
მათ მოლოდინი მხოლოთ ერთმა გემმა გაუმართლა; ხალხი ამ  
გემს სიხარულითა და ოღტაცებით დაუხვდა და ლექსიც კი  
შესთხეს ამ გემის მოსვლისა გამო.

ალ. ნათაძე.

# კოკოსის პალმა.

(დავთვის წიგნიდან „ცხელი ქვეუნები“ და სხვ.)

კოკოსის პალმას ეძახიან ერთნაირ ხეს, რომელიც ჰქონდება ტროპიკულ ქვეყნებში: შეუა ამერიკაში, სამხრეთ აზიაში, მაღალის არხიპელაგზე და ოკეანის კუნძულებზე. უმეტეს ნაწილად იგი იზრდება ზღვის ნაპირებზე. ტანი აქვს მას ძლიერ მაღალი (თხუთმეტი საუკის იქნება სიმაღლით), რომელზედაც ერთი ტოტიც კი არსად მოიძევა და არც ერთი ფოთოლი კენწერომდის; კენწეროში კი ვეებერთელა დიდი ფოთოლები ასეია კონად, სიგრძით სამ საუკის მდის და სიგანით ნახევარი საუკის. ტანზე დაბლიდან დაწყებული კენწერომდის შემოყოლებული აქვს ფართო-ფართო რგოლები, თითქმ სალტეები არტყია; ეს რგოლები იმის ნაშთია, აქ რომ ფოთოლები ესხა წინად და მოიცვალა. სანამ ხანში არ შესულა პალმა, ესე იგი სანამ სიბერე არ მოახლოვებია, ტანი სწორი აქვს მას, სიბერეში კი მოიხრება; შესანიშნავი სიმაგრე აქვს: გრიგალი ქარიც რომ დაეტაკოს, მისი გადამტკრევა გაუჭირდება.



კოკოსის პალმა და მისი ნიუოფი.

ამ ხის ნაყოფს რომ შეხეოთ, ვეებერთელა კაკალს მოგა-  
გონებს, რომელსაც ჰქვია კოკოსი, ხეს კი კოკოსის პალმას ეძახიან. სიღრიდით ბავშვის თავის ოდენა არის კოკოსი და რამდენიმე ერთად ასეია პალმას კენწეროში, მტევნებსავით დაკიდებული. გარედან კოკოსი შემოსილია სქელი გარსითა, რომელიც შესდგება წაბლის ფერი ბეწვებისაგან. ამ გარსს ჰქვეშ იმყოფება ნაჭუჭი კოკოსისა. როდესაც კოკოსი კარგად დამწიფდება, მაშინ ნაჭუჭი იმდენად გამაგრდება, რომ მისი გამტკრევა მეტად ძნელია: თუ არ გახერხე, ისე ვერ ამოიღებ ნაჭუჭიდან გულს. ამიტომ უფრო ხშირად კოკოსებს

მოკრეფენ ხოლმე იმ დროს, როდესაც გული მათი ჯერ კი-  
 დევ არ დამწიფებულა და ნაჭუჭი რბილი აქვს. ამ დროს  
 გული კოკოსისა წარმოადგენს ისეთ თეთრს სითხეს, როგორც  
 რძე. ამას ეძახიან კოკოსის რძეს, რომელიც გემრიელი სას-  
 მელია, სულ ნუშის რძესა ჰგავს გემოთი. როდესაც კოკოსი  
 კარგად დამწიფდება, ან და დიდხანს იქნება შენახული, ნა-  
 ჭუჭი გაუმაგრდება და გული, რძის მსგავსი რომ იყო, შე-  
 დედლება და გამაგრდება.

იშვიათად მოიძებნება ქვეყანაზე იმისთანა მცენარე, რო-  
 მელიც იმდენად სასარგებლო იყოს ადამიანისათვის, როგორც  
 კოკოსის პალმაა ტროპიკულ ქვეყნების მცხოვრებთათვის. კო-  
 კოსის გული არის გემრიელი საჭმელი და, როცა თხელია,  
 გემრიელი სასმელი. კოკოსის გულისაგან გამოხდიან ხოლმე  
 ზეთს, რომელიც იხმარება სადგომის გასანათებლად და, როცა  
 ახალი გამოხდილია, საჭმელადც კარგია. ასე გაშინჯეთ, კო-  
 კოსის პალმა ღვინოსაც კი იძლევა. როდესაც კოკოსის პალ-  
 მის ყვავების დრო მთაწევს და მისი ყვავილები ჯერ კიდევ  
 კოკრებშია, მაშინ ყვავილებს გარს ახვევია თხელი კანი. ამ  
 კანს დახერავენ ხოლმე, და მაშინ იქიდან გამოდინდება  
 ტკბილი წვენი. ამ წვენს ჩასხმენ ხოლმე ჭურჭლებში და,  
 როდესაც ის დაიდულებს, გაკეთდება მისგან ღვინო. ქვაბში  
 რომ ჩასხა ეს წვენი, დადგა ცეცხლზე - იდულებს, იდულებს  
 და გაკეთდება შაქარი. პალმის ღვინისაგან შეიძლება გაკეთ-  
 დეს კარგი ძმარი. ქორფა ფოთლები კოკოსის პალმისა შეი-  
 ძლება მოხრავა, ან მოხარშო და შშვენიერი მხალი იქნება.  
 დიდები რომ დაიზრდებიან ფოთლები, მაშინ მათ სახლების  
 სახურავად ხმარობენ. თითონ სახლებსაც ხშირად კოკოსის  
 პალმისაგან აშენებენ იმ ქვეყნის მცხოვრებნი; მისგანვე აკე-  
 თებენ სხვა და სხვა ავეჯეულობას: სკამს, სტოლს და სხვ.  
 კოკოსის ნაჭუჭებისაგან აკეთებენ ჯამებს, კათხებს და საზო-  
 გადოდ სხვა და სხვა ჭურჭლეულობას. ფოთლებისაგან სწა-  
 ვენ კალათებს და ჰქელვენ ჰილობებს. კოკოსს რომ გარედან  
 ბეწვები აკრავს, იმ ბეწვებისაგან აკეთებენ ბაგირებს და უფრო  
 წმინდა ბეწვებისაგან მატერიებსაც ქსოვენ ტანისამოსისათვის.  
 ინდოელების თქმულობით, კოკოსის პალმა იძლევა ოთხმოცდა  
 ცხრამეტს თავს სულ სხვა და სხვა რასმე, ადამიანისათვის  
 სასარგებლოს.

ერთხელ ერთი კაცი მიღიოდა გზად იმისთანა ადგილებზე სადაც მუჯდამ ცხელა, ჩრდილი და სიგრილე იშვიათია და ადამიანის მოსახლობა ძლიერ შორი-შორს არის ერთი-მეორეზე. ძალიან დაიღალი მგზავრი იმისთანა სიცხეში სიარულით. წყურვილი ჰკულავდა და წვეთი წყალი არსად იყო. ბოლოს, როგორც იყო, თვალი მოჰკრა შორიდან ერთს სახლს. რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაეშურა იმ სახლისაკენ. მიუხსლოვდა სახლს. ხედავს რამდენიმე ძირი მაღალი და სწორ ტანოვანი ხე სდგას სახლს გარშემო, რომელთაც დიდ-დიდი ფოთლები ასხია კენწეროში. ისეთი შეხედულობა აქვთ ხეებს, იფიქრებს კაცი, ვისმე უშველებელი მაღალი და მსხვილი ჭოგრები დაუსვია და ზედ ჩამოუცვია კონებად შეკრული ვეგებრთელი გრძელი ფოთლებიანი ხის ტოტებით. ნიადაგი სახლის ახლო-მახლო და არც მოშორებ არსად დამუშავებული არ იყო, არსად არა სჩანდა ადამიანის ნაქირ-ნახულევი. სახლის პატრონმა მიიწვია მგზავრი და შეიყვანა თავის სადგომში. მერე მიართვა ერთი რამ მომევა გემრიელი სასმელი, ფერად რძის მსგავსი. ამ სასმელმა მგზავრი გააგრილა და წყურვილი მოუკლა მას. შემდეგ დასხდენ სუფრაზე. სტუმარს მთართვეს ნაირ-ნაირი საჭმელები მიხაკის ფერ ჰურქლებია, საჭმელებს ლვინოც მოაყოლეს, რომელიც სასიამოვნო სასმელი იყო. ანას გარდა, სადილის გათავებისას მოუტანეს მშვენიერი მურაბაც პირის ჩასატკბილებლად.

მგზავრი გააკვირვა ამისთანა მასპინძლობამ, რადგან ყანა არსად სჩანდა იმ არე-მარეს და ბოსტანი, ბალი იქ არ იყო და ვენახი. საიდან იშოვა ამ კაცმა ამისთანა გემრიელი საჭმელები და კარგი ლვინოო! ერთის სახლის მეტი და რამდენისამე ძირი ხის მეტი არაფერი გააჩნიაო. ბოლოს ველარ მოითმინა და ჰკითხა სახლის პატრონს: როგორ ახერხებ, მასპინძელო, რა საშვალება გაქვს, რომ ამისთანა მასპინძლობა გამიშვირო. იმან ლიმილით მიუგო: „აი, ხომ ხედავ ამ ხეებს, ჩემს სახლთან რომ დფას? ეს არის კოკოსის პალმები. მათის წყალობითა მაქვს უველაფერი, რასაც ხედავ აქ და რაც მოგართვი. სასმელი რომ დაგალევინე, როდესაც ჩემს სადგომში შემოხველ და გაგაგრილე, ის იყო უმწიფარი გული კალისა, რომელიც ამ ხეებს ასხია. გემრიელი საჭმელები რომ მოგართვი, ის საჭმელები გაკეთებული იყო ამ ხეების კალის მწიფე გულისაგან. სალათათ ამავე ხეების ქორფა ფოთლები მოგიმზადე. ლვინო დავაყენე იმ წვენისაგან, რო-



მელსაც გამოადენენ ხოლმე ამ ხეების ყვავილებს გადასახდეს ეს ყვავილები კოკრებშია. მურაბაც კოკოსის გულისაგან გავაკეთე: შაქარიც, ურმმლისოდ, როგორც მოგეხსენებათ, მრაბა არ კეთდება, საკუთრიდ ჩემი ნახელავია—თითონ მე გავაკეთე იმისთანავე წვენისაგან, რომლისაგანც ღვინო დავაყენე. იმავე წვენისაგან გავაკეთე ძმარიც. რა ჰურჭლებითაც საჭმლები მოგართვი საღილაო, ყველა ის ჰურჭლები გაკეთებულია კოკოსის ნაჭუჭისაგან. ხის ავეჯიც, რასაც ჰედავ ჩემს სადგომში, კოკოსის პალმისაგან მაქვს გაკეთებული: როდაბერდა ხე და ნაყოფს ცოტას იძლეოდა, მოვსჭერი და გავთალე იმისაგან ჩემთვის საჭირო დგამი (ხის ავეჯია). თითონ ეს ჩემი სახლი კოკოსის პალმისაგან არის აგებული და იმავე ხის ფოთლებითაა დახურული. ტანისამოსი რომ მაცვია ამ უძაღ, ამ ტანისამოსის მატერიაც იმ ბეჭვებისაგან არის მოქსვილი, რომელიც გარს ახვევია კოკოსსა. ფოთლებისაგან ვწნავ კალათებს, ვქსოვ ჭილობებს, ბეჭვისაგან ვაკეთებ ცხავებს და სხვა და სხვა რამ სასარგებლო ნივთებს. როდესაც კოკოსის გული ახალი დამწიფებულია, მაშინ იმისაგან ვხდი ზეთს, რომელსაც ვხმარობ საჭმელების საკაზხმათაც და სადგომის გასანათებლათაც“. და ბოლოს დაუმატა მასპინძელმა: „გთხოვთ ეს წერილი გადასცეთ ჩემს კარგს ნაცნობს, ამა და ამ კაცს, როდესაც ჩახვიდეთ ქოლაქში. იცოდეთ ამასთანავე, რომ ეს ქალალდიც, რომელზედაც წერილია დაწერილი, მომზადებულია კოკოსის პალმის ფოთლებისაგან და მელანიც სწორედ ამ ხის ნახერხისაგან არის შეზავებული“.

ოკეანიის მცხოვრებლებს—პაპუასებს და პოლინეზიელებს. დიდი ოდებ-მიცემობა აქვთ ევროპიელებთან გამართული კოკოსის გამო. იმ კუნძულების ნაპირებთან, საღაც ევროპიელების სავაჭრო გემები ჩერდებიან ოკეანიაში, მრავალ ოკეანიელს მოჰყავს თავისი ნავი, დატვირთული კოპრათი. (კოპრას ეძახიან კოკოსის გულს, გამზარს). ევროპიელები ბლობათ ჰყიდულობენ კოპრას, გემებს სტვირთავენ და მიაქვთ, რომ ზეთი გამოხადონ იმისაგან; სამაგიეროდ აძლევენ ოკეანიის მცხოვრებთ ევროპის ნახელავს სხვა და სხვა ნივთებს ლითონისას.

აი, რა ძეირთასი რამ არის კოკოსის პალმა ტროპიკულ ქვეყნების მცხოვრებთათვის. საკმაოა რამდენიმე ძირი კოკოსის პალმა გაიჩინოს იქაურმა მყვიდრმა და მოელ თავის სიცოცლეში უზრუნველყოფილი იქნება ცოლ-შვილიანად.

ა. ჭიჭინაძე.



**1909** წლის თებერვლიდან გამოდის

კუველდლიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# — ჩ ვ ე ბ ი ს ა ძ ა ბ . —

იმავე პროგრამით, როგორც გამოდის.

გაზეთს ყავს საკუთარი კორესპონდენციები ევროპაში,  
სპარსეთში და სახელმწიფო დუმაში.

ფაზეთის ფასი:

1 წლით.	6 თვით.	3. თვით.	1. თვით.
---------	---------	----------	----------

თფილისში	7 მან.	4 მან.	2 გ. 20 კ.	80 კაპ.
----------	--------	--------	------------	---------

ქალაქ გარეთ.	7 მან.	4 მან.	2 გ. 50 კ.	90 კაპ.
--------------	--------	--------	------------	---------

საზღვარ გარეთ.	10 მან.	5 მან.	3 მან.	1 მან:
----------------	---------	--------	--------	--------

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ ჩიტვიდან.
--

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

ხელისმოწერა მიიღება რედაქციის კანტორაში, „წერი კითხების საზოგადოების“ მაღაზიაში — შ. ქუჩუკაშვილთან, ნაძლიდევის, ავჭალის, ვერის და ავლაბრის ბიბლიოთეკებში.  
რედაქციის აღრესი: თფილისი, ელისაბედის ქ., სახლი № 1.

Открыта подписка на 1909 годъ на газету

## „ЗАКАВКАЗСКОЕ ОБОЗРЕНІЕ“

(ГОДЪ ВТОРОЙ)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисѣ:

за годъ . . . . . 6 р. — к.

за полгода . . . . 3 р. 50 к.

Съ пересылкой въ другіе города:

за годъ . . . . . 8 р. — к.

за полгода . . . . 4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Отдѣльныи № — 5 коп. Заграницу вдвое. За перемѣну адреса городского на иногородній — 1 р., съ иногородняго на иногородній — 50 коп.

Адресъ редакціи: Тифлисъ, Эриванская площадь, д Гургенова, общиі входъ съ contadorой нотаріуса Мгеброва. Редакція открыта отъ 9-ти до 4-хъ час. дня и отъ 7-ми до 8-ми час. вечера.

Лично редакторъ принимаетъ отъ 12—1 час. дня.

Редакторъ-Издатель Г. I. Амираджиси.

მიიღება ხელის მოწვევა 1908 წლისათვის.

# ჩ რ ე ტ ა

1909 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

ეფექტურ გამოცემას გარდა 1909 წელს გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ — კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ის ქალაქ გარედ ლირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით -- 5 მან.  
10 კაპ., ერთი თვით — 1 მან.

ცალბე ნომერი ეველგან ერთი შეური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპერი

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემოიტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა

**დალენდარი 1909 წლისა**

ხელის-მოწერა ჭერ-ჭერბით მიიღება მხატვრდ ტფილისში:

„დროების“ კანტორაში — დიდი ვანქის ქუჩა, № 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის ეალაზიაში შ. ქუჩუკ შვილთან — სასახლის ქუჩა, თავადახნ. ქარგასლა; ნაძალატევში მეპიურ მელოტონ ლოლობერიესთან — მაგისტრალი ქუჩაზე, გრიბოედ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან — ტყერნი ცეხი.

**ხელის მოწვერია საზურადლებოდ**

კანტორა უმორჩილესად სთხოვს ახალ ხელის მომწერთ, თუ ვინიც იმავე ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი კვიტანციას წარუდგენენ.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 8-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

აღრესი: **თიფლის, რედაქცია „დროება“ ი. ს. აგლაძე.**

მიიღება ხელის მოწერა

**1909 წლის**

**ჯეკილზე**